



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მამიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნონა ჩუბინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

- 1) ნინო თაბაგარი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- 2) ნანა შამუგია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- 3) ანი მეხუზლა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- 4) ინგა ჯაფარიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- 5) ინგა ხრიკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- 6) გიორგი ტაბუცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- 7) ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- 8) ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- 9) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- 10) მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჩუბინიძე: 1



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239885095

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი სენაკი
იურიდიული მისამართი	სენაკი, რუსთაველის ქ. 68
ფაქტობრივი მისამართი	სენაკი, რუსთაველის ქ. 68
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Senaki7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(0413) 27 66 43
დაწესებულების ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი	551 09 95 45

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეიხვაძე

ნ. ჭიჭიძე დ. ფიჭიძე



ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2023 წლის 08 აგვისტოს № MES 7 23 0000976014 ბრძანების საფუძველზე
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 25 და 26 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხური	დაწყებითი	ქართული ენა	სენაკი, რუსთაველის ქ. 68
2	საბაზო საფეხური	საბაზო	ქართული ენა	სენაკი, რუსთაველის ქ. 68
3	საშუალო საფეხური	საშუალო	ქართული ენა	სენაკი, რუსთაველის ქ. 68

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ქიქოძე, დ. ფიქიძე



V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმების მიზნით განხორციელდა ვიზიტი სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი რამდენჯერმე შეხვდა ერთმანეთს ავტორიზაციის ვიზიტის დაწყებამდე. შეხვედრები გაიმართა დისტანციურ ფორმატში. შეხვედრაზე ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და თვითშეფასების ფორმას. შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი და დაწესებულებას წარუდგინეს წარმოების ფარგლებში დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტაციის ნუსხა. ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ოთხივე სტანდარტის მიხედვით სკოლის მართვასთან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. ასევე დაათვალიერა ინფრასტრუქტურა. ვიზიტმა მშვიდად დასაქმიანად ჩაიარა.

ექსპერტები გაესაუბრნენ როგორც სკოლის დირექტორს, დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ავტორიზაციის ჯგუფს და იმ ადამიანებს, ვინც მონაწილეობა მიიღო სკოლის თვითშეფასების ფორმის შევსებაში. ასევე კათედრების წარმომადგენლებს. ვიზიტის დასრულებისას ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი



VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეიხვაძე

ნ. ჯიქიაშვილი
ფ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6



კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეფიძე

ნ. ჯიქიაშვილი



კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
		ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
სტანდარტი 3		ხარვეზი
		ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
		ხარვეზი არ დაფიქსირებულა.


სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმინ(კურიკულუმისშემუშავება)	ხარვეზი
		ხარვეზი არ დაფიქსირებულა.


V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ 30.11.2023 წ-მდე სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.









ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:







სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ 30.11.2023 წ-მე უზრუნველყოს 1. შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა 3. შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და მისი ესქპლუატაციის უსაფრთხოება.
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ 18.10.2024 წ-მდე უზრუნველყოს პანდუსისა და ლიფტის მოწყობა
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 4.2.3.1	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	სკოლამ 15.01.2024 წ. -მდე უზრუნველყოს ენისა და მეტყველების სპეციალისტის, ფსიქოლოგისა და ოკუპაციური თერაპევტის მოძიება.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

1 გარდა მუორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სტრატეგიულ გეგმაში გაიწეროს მოცემული რიკების მართვის ღონისძიებები
სტანდარტი 3	ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	რჩევა
ინდიკატორი 3.1.1.2	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	ერთ დოკუმენტად გააერთიანოს სკოლაში მოქმედი პირების ფუნქცია-მოვალეობები
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	ცეცხლფარეშისა და დამლაგებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გახდეს ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი.
ინდიკატორი 3.5.1.5	სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).	სკოლამ შესაბამისი საინვენტარო ნომერი მიაწიჭოს ყველა სახელმძღვანელოს.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლამ დაკონკრეტოს და განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების კვლევას (მაგ: ფოკუს ჯგუფი, კითხვარი, რეფლექსია და სხვა).
ინდიკატორი N2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სკოლამ გაზარდოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მოახდინოს პასუხისმგებლობის დელეგირება/გადანაწილება (მაგ: მშობელთა სამუშაო ჯგუფების შექმნა) იმისათვის, რომ კურიკულუმი იყოს საერთო შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი N2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;	სკოლამ დააკონკრეტოს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, ვინ და რა პერიოდულობით, რა საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, დააკონკრეტოს კრიტერიუმები, რომლითაც განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რათა შერჩეული ინსტრუმენტები/კრიტერიუმები მაქსიმალურად მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
ინდიკატორი N2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით საფეხურზე უნდა შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც უპასუხებს ეროვნული სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



		გეგმის მოთხოვნებს, გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს.
ინდიკატორი N2.1.2.5	დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.	სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია გახადოს მეტად კონკრეტული, კერძოდ, მასში აღწეროს ის გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს შეფასებას, დაადგენს მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და როგორ/რა ეფექტით მიმდინარეობს დაგეგმილი პროცესები.
ინდიკატორი N2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არის ზოგადი და საჭიროებს ნაბიჯებისა და მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების დაზუსტებას. საურველია სკოლამ განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს მონიტორინგსა და შეფასებას, იმის გაგებას მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და როგორი ეფექტით მიმდინარეობს, ასევე, განსაზღვროს შესაბამისი ვადები და პასუხისმგებელი პირები.
ინდიკატორი N 2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	სასურველია სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყოს , კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოკვეთილი პრობლემის / პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული აქტივობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

13



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლამ დაკონკრეტოს და განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების კვლევას (მაგ: ფოკუს ჯგუფი, კითხვარი, რეფლექსია და სხვა).
ინდიკატორი N2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სკოლამ გაზარდოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მოახდინოს პასუხისმგებლობის დელეგირება/გადანაწილება (მაგ: მშობელთა სამუშაო ჯგუფების შექმნა) იმისათვის, რომ კურიკულუმი იყოს საერთო შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი N2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს;	განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სკოლამ უნდა შექმნას წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსად, საბაზო საფეხურის სტანდარტით სავალდებულო ყველა თემისთვის.
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;	სასურველია სკოლამ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გახადოს მეტად კონკრეტული, კერძოდ დოკუმენტში ასახოს კონკრეტული ნაბიჯები, პროცედურები და ინსტრუმენტები, რომლითაც განახორციელებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.
ინდიკატორი N2.2.3.1	სასწავლო პროცესში შექმნილია მიმდებლობითი და მხარდამჭერი გარემო	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ქიმიის სრულყოფილი სწავლებისთვის კაბინეტში უნდა იყოს გამწოვი და სადემონსტაციო მაგიდაზე ცეცხლგამძლე ზედაპირი.
ინდიკატორი N2.3.1.2	მონიტორინგი და შეფასება	კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



	ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;	დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, კურიკულუმის განხორციელების პროცესში პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად.
--	--	---

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლამ დაკონკრეტოს და განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების კვლევას (მაგ: ფოკუს ჯგუფი, კითხვარი, რეფლექსია და სხვა).
ინდიკატორი N2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სკოლამ გაზარდოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მოახდინოს პასუხისმგებლობის დელეგირება/გადანაწილება (მაგ: მშობელთა სამუშაო ჯგუფების შექმნა) იმისათვის, რომ კურიკულუმი იყოს საერთო შემოქმედებითი პროდუქტი.
ინდიკატორი N2.1.2.3	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ	სასურველია, სკოლამ დააკონკრეტოს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, ვინ და რა პერიოდულობით, რა საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, დააკონკრეტოს კრიტერიუმები, რომლითაც განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რათა შერჩეული ინსტრუმენტები/კრიტერიუმები მაქსიმალურად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



		მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.
ინდიკატორი N2.1.2.5	დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.	სკოლას ვურჩევდით, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია გახადოს მეტად კონკრეტული, კერძოდ, მასში აღწეროს ის გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს მონიტორინგსა და შეფასებას, დაადგენს მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და როგორ/რა ეფექტით მიმდინარეობს დაგეგმილი პროცესები.
ინდიკატორი N2.2.2.4	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური,	სასურველია მასწავლებლის ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს პროექტის შეფასების რუბრიკებში, მეტი ობიექტურობის და სანდოობის ხარისხის გაზრდის მიზნით.
ინდიკატორი N2.2.2.5	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სასურველია , რომ სკოლამ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გახადოს მეტად კონკრეტული, კერძოდ დოკუმენტში ასახოს კონკრეტული ნაბიჯები, პროცედურები და ინსტრუმენტები, რომლითაც განახორციელებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.
ინდიკატორი N2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;	სკოლამ განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს მონიტორინგსა და შეფასებას, იმის გაგებას მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და როგორი ეფექტით მიმდინარეობს, ასევე, განსაზღვროს შესაბამისი ვადები და პასუხისმგებელი პირები.
ინდიკატორი N2.3.2.1	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	სასურველია, სკოლამ მეტად დახვეწოს შეფასების რუბრიკები და შეიმუშაოს ისინი კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაშიც.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია 3.4.1.1; 3.5.1.3; 3.6.2.1 და 4.2.3.1; ინდიკატორებთან დაკავშირებით, თუმცა არ გაიზიარა არგუმენტირებული პოზიცია 1.2.1.4 ინდიკატორთან დაკავშირებით, რადგან წარმოდგენილ ერთწლიან გეგმაში არაა გაითვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა. მისია ორიენტირებულია ის მისიას თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაგანო ღირებულებების მქონე, პატრიოტი, თავისუფლად მოაზროვნე და სოციალურად აქტიური მოქალაქის აღზრდაზე, რომელსაც ექნება განვითარებული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები, დემოკრატიული სამოქალაქო ცნობიერება,

17

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ. ქაჩიაძე, დ. ფიქია
 ქ. ქაჩიაძე, დ. ფიქია

პასუხისმგებლობა გარემოს, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე. სკოლას მისიის მიხედვით აღებული აქვს ვალდებულება შექმნას პოზიტიური, უსაფრთხო სწავლის მასტიმულირებელი გარემო ბავშვებისათვის, სადაც სწავლა მოსწავლისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო პროცესი იქნება. ამით სკოლა მისცემს მოსწავლეს საშუალებას გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი და გახდეს დამოუკიდებელი მთელი ცხოვრების მანძილზე.

ხედვაში ხაზგასმულია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა მოსწავლეთა უნარების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების სრულად გამოვლენაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეების გაზრდა.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა მიმართულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, პოტენციალისა და განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენასა და მაქსიმალურად განითარებაზე. ქმნის ხელსაყრელ პირობებს მოსწავლისა და მასწავლებლის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის, თვითრეალიზაციისა და თვითგამორკვევისათვის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლა სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მისიასა და ხედვაში ჩანს, რომ სკოლა იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი როლი განსაზღვროს პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. მისია და ხედვაში ხაზია გასმული მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. წარმოჩენილია შემდეგი მიმართულებები: კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეების გაზრდა, ხელსაყრელი პირობების შექმნა მოსწავლის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის, თვითრეალიზაციისა და თვითგამორკვევისათვის, პოზიტიური, უსაფრთხო სწავლის მასტიმულირებელი გარემოს ჩამოყალიბება ბავშვებისათვის, სადაც სწავლა მოსწავლისთვის მრავალფეროვანი და საინტერესო პროცესი იქნება. რომელიც მისცემს მას საშუალებას გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი და გახდეს დამოუკიდებელი მთელი ცხოვრების მანძილზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**












3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. კერძოდ სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს ოქმი N5. 07.09.2023 წ, სამეურვეო საბჭოს ოქმი N3. 06.09.2023 წ. სადაც ჩანს აღნიშნული დოკუმენტებზე მუშაობა, ასევე სკოლის წარმომადგენლები დოკუმენტზე მუშაობის პროცესში შეხვდნენ მშობლებსა და მოსწავლეებს, რაც დასტურდება სკოლის

18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალით, ასევე ამ შეხვედრაზე გამოყენებული საპრეზენტაციო მასალით. ოქმში მითითებულია, რომ სასკოლო საზოგადოება შეთანხმებულია და სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია საბოლოო კონსენსუსის მიღწევის შემდეგ. სკოლამ ინტერვიუს დროს გამოთქვა მზაობა, ნებისმიერი რეალობის დადგომისას, ისევე შეიკრიბონ და გადაამუშაონ სასკოლო დოკუმენტაცია სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გზით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლამ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს ოქმი N5. 07.09.2023 წ, სამეურვეო საბჭოს ოქმი N3. 06.09.2023 წ. რითაც დასტურდება რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ასევე სკოლაში ჩატარებულია მშობელთა შეხვედრა, როგორც სკოლის ფილოსოფიის შემუშავების ეტაპზე განსჯა-განხილვისთვის, ასევე მისი საბოლოო ჩამოყალიბების შემდეგ გაზიარების მიზნით. ორივე ოქმში ჩანს, რომ სკოლის მასწავლებლები იზიარებენ იმ მისიასა და ხედვას, რაზეც საბოლოოდ შეთანხმდა სკოლა. ასევე ღირებულებები ჩამოყალიბებულია მათივე ჩართულობით, რაც კიდევ უფრო ზრდის პასუხისმგებლობის ხარისხს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; იგი განთავსებულია სკოლის შემოსასვლელში, დერეფანში თვალსაჩინო ადგილას. სკოლა აზღერად მუშაობს მართვის საინფორმაციო სისტემაში გამოყოფილი ველის სრულყოფაზე. მათ გამოთქვეს მზაობა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის გახდეს ხელმისაწვდომი და იგი განათავსონ საჯაროდ. ვინაიდან სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე ვებ გვერდი, სკოლა ამ გზით ცდილობს საჯარო გახადოს საჯარო ინფორმაცია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება - სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სწავლებას სამივე საფეხურზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით მინიჭებული აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა
 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით
 - სასკოლო სასწავლო გეგმა
 - პედაგოგიური საბჭოს ოქმი N5. 07.09.2023 წ.
 - სამეურვეო საბჭოს ოქმი N3. 06.09.2023 წ.
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
- სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
 - სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
 - სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სსიპქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის თავისებურებები. კერძოდ სკოლა ამ დოკუმენტით აღიარებს, რომ სტრატეგიული გეგმა, მიზნები და ამოცანები იქმნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ძირითადი მიდგომებია თანამონაწილეობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, განსაზღვრულია გაზიარებისა და შემუშავების პროცედურები. ასევე სამუშაო ჯგუფის ფორმირება. წინა სამუშაოდ განსაზღვრულის კვლევის შედეგების გათვალისწინება კერძოდ SWOT ანალიზი. ასევე გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. მექანიზმად განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშების წარმოდგენა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N3 06.09.2023 წ., რითაც დასტურდება სტრატეგიული გეგმის დამტკიცება. სკოლის სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი იგი ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული გეგმა მოიცავს 3 ძირითად მიმართულებას, შესაბამისი მიზნებითა და ამოცანებით. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული მიმართულება N1

სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მიზნები:

1. სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება.
2. სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება
3. სასწავლო პროცესის მართვა

სტრატეგიული მიმართულება N2

სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება;

მიზნები:

1. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენა ხდება განვლილი წლის ანალიზის საფუძველზე და განახლდება არსებული გამოწვევების საპასუხოდ.
2. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით.
3. პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიმართულება N3

სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

მიზნები:

1. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება/ განვითარება.
2. ადამიანური რესურსების მართვა
3. ანგარიშვალდებულების წარმოება ხარისხიანად წინასწარ დადგენილ ვადებში.
4. მატერიალური რესურსების მართვა.

სკოლის სტრატეგიულ გეგმაში ნათლად ჩანს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე გაანალიზებულია სკოლის შესაძლებლობები და საფრთხეები.

გაიცა რჩევა: სტრატეგიულ გეგმაში გაიწეროს მოცემული რიკების მართვის ღონისძიებები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება












3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა. აღნიშნული გეგმა არის ერთწლიანი და მოიცავს პერიოდს 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის აგვისტოს ჩათვლით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ

22

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





სკოლის ერთწლიანი გეგმა ეფუძნება ყოველწლიური შეფასების ანგარიშს. ამჯერად წარმოდგენილი დოკუმენტი შექმნილია თანამშრომლობით, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და როგორც განხილვაში ჩანს, იგი დაეფუძნა სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. ერთწლიანი გეგმა შესაბამისია სტრატეგიული გეგმის. 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა არ მოიცავს სტრატეგიული გეგმის ყველა მიზანს, თუმცა სკოლამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ მომდევნო წლებში დაგეგმავენ ისეთი მიზნების განხორციელების ამოცანებს, რომლებიც არ იქნა გათვალისწინებული ამ წლის სამუშაო გეგმაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სკოლამ წარმოადგინა 2023-24 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმა, რომელიც არ მოიცავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. მასში გაწერილია მხოლოდ აქტივობები. ასევე ვადები რომლებიც რეალისტურია, გეგმას ახლავს ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები თუმცა სამოქმედო გეგმა არ მოიცავს ამოცანების შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და შესაბამის რესურსებს.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა ახალი 2023-24 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა. გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, მაგრამ გეგმა არ მოიცავს რესურსებს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია სტანდარტთან. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ პოზიციას არ იზიარებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - მეტწილად შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა
- პედსაბჭოს ოქმი N4. 30. 06. 2023
- პედსაბჭოს ოქმი N5. 07. 09. 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

23



- სამეურვეო საბჭოს ოქმი N3. 06.09.2023
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- წლ. სამოქმედო გეგმა 2023-24

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომლის მე-11 თავი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში სამ წელიწადში ერთხელ. ხოლო ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი ხდება სემესტრის ბოლოს. რაც შეეხება შეფასებას, შეფასება ხორციელდება პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. ანგარიშების საფუძველზე სკოლის დირექტორის წერს საბოლოო ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს სკოლის სამეურვეო საბჭოს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე არაგეგმიური მონიტორინგის შესაძლებლობაც განსაკუთრებულ შემთხვევებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების

24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ. ბერიძე, დ. ფიქი

უკუკავშირის გათვალისწინებით:

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით და ინტერვიუების გათვალისწინებით, სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა:



სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის პრაქტიკაა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გაასაჯაროოს პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტის თავი „სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი“ მე-6 გულისხმობს გეგმების შესრულების შედეგები საჯარო გახდეს ვებ გვერდის მეშვეობითაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით და ინტერვიუების გათვალისწინებით, სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გამოიყენოს მომდევნო სამოქმედო გეგმების განსაზღვრისათვის. მეთოდოლოგია სწორედ ამას ითვალისწინებს და როგორც ინტერვიულებით გაირკვა, სკოლას ამის პრაქტიკაც აქვს


სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა
 - სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
 - წლ. სამოქმედო გეგმა 2023-24
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
 - შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☐ შეესაბამება
 - ☒ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული:

სკოლამ წარმოადგინა სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტები. დოკუმენტები შედგენილია ცალ-ცალკე ყველა პირისა და სტრუქტურული ერთეულისთვის. ფუნქციები ისე გადანაწილებული, რომ ერთმანეთის ფუნქციები არ იფარება. მკაფიოდაა განსაზღვრული ყველა ადამიანისა თუ სტრუქტურული ერთეულების მოქმედების არეალი და

26

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანგარიშვალდებულება. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა, რაც შესაბამეა არსებულ რეალობას. სკოლას საშტატო განრიგის მიხედვით ჰყავს: დირექცია: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი.

ადმინისტრაცია: საქმისმწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი,

მასწავლებლები,

ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი

სკოლის ექიმი,

ცეცხლფარეში,

3 დამლაგებელი

3 დარაჯი.

დასაქმებულებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები.

რაც შეეხება სტრუქტურულ ერთეულებს სკოლაში მუშაობს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შესაბამება**



2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლას ცალ-ცალკე დოკუმენტად აქვს წარმოდგენილი ყველა პირის ფუნქციები. წარმოდგენილია ყველა იმ პირისა და სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, რომლებიც მუშაობენ სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში. ფუნქციები არის მკაფიო. შესასრულებლად რეალისტური. მათი განაწილება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას ხარისხიანად და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას, რადგან როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე დირექცია ადმინისტრაციის ფუნქციები გაწერილია ისე, რომ საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდეს შეუფერხებლად. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები კი შესაბამისია კანონმდებლობასთან და სრულად ფარავს ყველა პროცესს, რაც სკოლის სინამდვილეში შეიძლება დადგეს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ფუნქციები მკაფიოდ გამიჯნულია და მათი გადაფარვა არ ხდება.

სკოლას მიეცა რჩევა: ერთ დოკუმენტად გააერთიანოს სკოლაში მოქმედი პირების ფუნქცია-მოვალეობები

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეიფაძე

ნ. ჭიჭილაძე
ნ. სეიფაძე
ნ. სეიფაძე
ნ. სეიფაძე



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის როლი და ფუნქცია
- დირექტორის ფუნქციები
- დირექტორის მოადგილის მოვალეობები და ფუნქციები
- დირექტორის მოადგილის ფუნქციები
- ბუღალტრის მოვალეობები
- ბუღალტრის ფუნქციები
- საქმისმწარმოებლის მოვალეობები
- საქმისმწარმოებლის ფუნქციები
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქციები
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის მოვალეობები
- სკოლის ექიმის მოვალეობები
- სკოლის ექიმის ფუნქციები
- საინფორმაციო მენეჯერის უფლებები და მოვალეობები
- ბიბლიოთეკარის ფუნქციები
- დამლაგებლის ფუნქცია-მოვალეობები
- დარაჯის ფუნქცია-მოვალეობები
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სამეურვეო საბჭოს დებულება
- პედაგოგიური საბჭოს დებულება
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის საქმიანობის წესი
- კათედრის დებულება
- ბიბლიოთეკის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი
- დირექტორის მოადგილის ანგარიში სასწავლო პროცესის შესახებ
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ანგარიში
- დამრიგებლის ანგარიში
- სკოლის სტრუქტურა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

28

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლამ სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მიზნებსა და გამოყენების სფეროს, ამოცანებს, ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, დაწესებულების ადამიანურ რესურსს, სამუშაო აღწერილობებს, კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მასწავლებლის შერჩევის მექანიზმებს, კონკურსის გამოცხადებიდან მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე, ასევე საპრეტენზიო კომისიისთვის მიმართვის პროცედურებს, ახალი თანამშრომლების სოციალიზაციის მექანიზმს, თანამშრომელთა პროფესიულ და კარიერულ განვითარებას, თანამშრომელთა მოტივაციას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესს. სკოლას ასევე აქვს შინაგანაწესი, რომელიც ხელმისაწვდომის ყველა დაინტერესებული პირისთვის. სკოლას აქვს პრაქტიკა და მზაობა მართვის პროცესები განხორციელდეს მათ მიერ დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**












2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის

29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შიგა რეგულაციების შესაბამისად. სკოლის მიერ პერსონალის მართვა დამყარებულია მათ საჭიროებებზე. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს. მასწავლებელთა საჭიროებები ასევე დგინდება მათივე უკუკავშირებისა და თვითშეფასების საფუძველზე. სკოლა თანამშრომლობს არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან. სკოლას პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკის კუთხით წარმოდგენილი აქვს პერსონალის დანიშვნის ბრძანებები, თანამშრომელთა დანიშვნები ხორციელდება სკოლის მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლა გარდა დანიშვნის აქტისა თანამშრომელთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას, რომლის განუყოფელი ნაწილი არის სკოლის შინაგანაწესი.






სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შესაბამება**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს პერსონალის დანიშვნის აქტები, რომლებიც სკოლის მიერ დადგენილი წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. ვაკანსიის შემთხვევაში სკოლაში აცხადებს შიდა ან ღია ვაკანსიას. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, რომელიც 2021 წლითაა დათარიღებული, სკოლას ჰქონდა ქიმიის მასწავლებლის ვაკანსია. ინფორმაცია ამის შესახებ საჯაროდაა განთავსებული საიტზე teachersgov.ge, განცხადებების მიღების ვადა განსაზღვრულია კანონის შესაბამისად და არ არის 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები (8 კალენდარული დღითაა განსაზღვრული) კომისია შექმნილია 5 ადამიანისაგან და კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა სენაკის რესურსცენტრის წარმომადგენელი. მოწვეული სპეციალისტი.

ამჯერად სკოლაში მოქმედი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები შესაბამისია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებისა“. სკოლა იცავს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, რასაც ადასტურებს კომისიის მრავალრიცხოვანი შემადგენლობა სხვადასხვა უწყებებიდან. მოქმედი პროცედურის მიხედვით საბუთებს არჩევს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე, მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი.

პირადი საქმეების გაცნობით დგინდება, რომ სკოლაში 2020 წლის 23 ივლისის შემდეგ დასაქმებულია 2 მასწავლებელი და ერთი დამლაგებელი, რომელთაც კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენილი აქვთ შემდეგი ცნობები: ნასამართლობის შესახებ ცნობა, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. ხოლო დანარჩენ პერსონალს წარმოდგენილი აქვს ნასამართლობის შესახებ ცნობა.



ბ. ქიქოძე, დ. ფიქიძე
ბ. ქიქოძე, დ. ფიქიძე



სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა ვაკანსიის დროს განსაზღვრავს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სკოლის მიერ დადგენილ წესს. სკოლას დადგენილი აქვს ყველა პერსონალისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. პერსონალის კვალიფიკაცია ყველა შემთხვევაში (მასწავლებლები, ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრული აქვს ადამიანური მართვის პოლიტიკაში. ცეცხლფარეშისა და დამლაგებლის კვალიფიკაცია წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტად. პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი ხელშეკრულებები. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მათი სტატუსის შესაბამისია

სკოლას მიეცა რჩევა: ცეცხლფარეშისა და დამლაგებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გახდეს ადამიანური მართვის პოლიტიკის დოკუმენტის ნაწილი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა იმართება მონაწილეობითა და გუნდურობის პრინციპის დაცვით. სკოლას ჰყავს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის 3 მასწავლებელი, 3 მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე; სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ასევე მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი. სკოლის პედაგოგიური საბჭო დაკომპლექტებულია მასწავლებლებით. მასწავლებლები არიან თავისუფალი თავიანთი იდეებისა და ინიციატივების განხორციელებაში. გუნდური მუშაობის პრინციპები იკვეთებოდა ინტერვიუების დროსაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები. სკოლამ

31

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2022 წლის 20 დეკემბრის ბრძანება N1-138, რითაც დასტურდება მასწავლებლისთვის დაკისრებული მოვალეობების საუკეთესოდ შესრულების გამო ფულადი პრემიის დარიცხვა. გარდა ამისა სკოლა საკუთარ facebook გვერდზე ყოველთვის აღნიშნავს კონკრეტული მასწავლებლების წვლილსა და დამსახურებას, აღიარებს მათ წარმატებას და აზიარებს წარმატებულ მაგალითებს სასკოლო ცხოვრებიდან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური მართვის პოლიტიკა
- ბრძანება N1-138 20.12.2022 ბრძანება წახალისებაზე
- დამლაგებლის დანიშვნის ბრძანება
- დამლაგებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- პერსონალის დანიშვნის პროცედურების ამსახველი დოკუმენტაცია
- შინაგანაწესი
- ცეცხლფარეშის საკვალი. მოთხოვნები და ფუნქციები
- ხელშეკრულება დარაჯი
- ხელშეკრულება დირექცია
- ხელშეკრულება ტექ.
- ხელშეკრულება უფროსი მასწავლებლის
- ხელშეკრულება წამყვანი მასწავლებლის

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის წესი. ამ წესით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენის მექანიზმი გაკვეთილებზე დაკვირვების გზით. ჯგუფის წევრებს აქვთ მხარდამჭერი ფუნქცია. ისინი აკვირდებიან მასწავლებლებს, შემდეგ თანამშრომლობენ მათთან, აძლევენ შესაბამის უკუკავშირებს და სთავაზობენ განვითარების გზებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. დოკუმენტით განსაზღვრულია წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები, სასკოლო კლიმატი და დირექტორის დახმარების როლი პროფესიულ განვითარებაში, მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები. დოკუმენტი მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის ფორმალურ ნაწილს, ასევე არაფორმალურ ნაწილსაც. როგორიცაა პროექტები და საკლუბო მუშაობა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში უწყვეტად ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი პირდაპირ განსაზღვრავს გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებას პერსონალის განვითარებისას. სკოლა მუდმივად სთავაზობს მასწავლებლებს პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ. ქიქოძე, დ. ფიქიძე

გადამზადების საშუალებებს როგორც ააიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მოდულების სახით, ასევე სკოლის ბაზაზე განვითარებას სასკოლო ჯგუფების თანამშრომლობის სახით. ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უტარებს სამუშაო შეხვედრებს ტექნიკურ პერსონალს ახალი ხსნარებისა თუ სკოლის მოვლის საშუალებების გამოყენების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. სკოლაში დასაქმებულია 2 წამყვანი, 25 უფროსი და 2 სპეც მასწავლებელი. ორივე სპეც. მასწავლებელი უფროსის სტატუსის მქონეა. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა სკოლის წამყვანი მასწავლებლები ატარებენ სამუშაო შეხვედრებს კოლეგებთან გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. ბოლო პერიოდში ცნობილი პანდემიის დროს სკოლაში გამოიკვეთა მასწავლებელთა გაძლიერების საჭიროება ელექტრონული პორტალების მოხმარების კუთხით. სკოლის დირექციამ მოიწვია სერტიფიცირებული ტრენერი, რომელმაც გადაამზადა მასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ მომსახურება უფასო იყო სკოლის მასწავლებლისათვის და ხარჯები სკოლამ თავის თავზე აიღო. ამჯერად მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებს ხშირად პირისპირ შეხვედრის ხასიათი აქვს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შეხვედრები ხდება Teams-ის ელექტრონულ პლატფორმაზეც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება












4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ადამიანური მართვის პოლიტიკა, სადაც დეტალურადაა გაწერილი ყველა ადამიანისა თუ რგოლის ფუნქციები ახალი მასწავლებლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისათვის.

- სკოლის შინაგანაწესის გაცნობა;
- კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე;
- თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში;
- თანამშრომლისთვის მისასალმებელი პოსტის დადება სკოლის დახურულ ჯგუფში, სოციალურ ქსელში/სკოლის ელექტრონული ფოსტიდან მისასალმებელი ტექსტის გაგზავნა;
- სკოლის სხვა თანამშრომლებისთვის ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა ახალი თანამშრომლის მიღების შესახებ.
- სკოლის ორგანიზაციული კულტურის, რიტუალების გაცნობა, სკოლის დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- პირველი სამუშაო დღის განსაკუთრებულობის უზრუნველყოფა, მაგალითად, ახალი თანამშრომლის სამუშაო მაგიდის/გარემოს გაფორმება მისასალმებელი სიტყვებით.
 - კათედრაზე წარდგენა (მასწავლებლის შემთხვევაში).
 - სამუშაოს შესაბამისი კულტურის, არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების, სამომავლო პერსპექტივების გაცნობა,
 - მისთვის საჭირო დოკუმენტების გადაცემა.
 - თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (დახურული ჯგუფები, ელექტრონული ჟურნალი და სხვ.) შესახებ ინფორმაციის მიწოდება
 - თანამშრომლისთვის საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული მოლოდინების და სახვა და მისი მოლოდინების გათვალისწინება, სამუშაოს შესრულების გაზომვად კრიტერიუმებსა და პერიოდულ მონიტორინგზე შეთანხმება.
 - მოსწავლეებისთვის წარდგენა
 - სამუშაო წესების, პროცედურებისა და ანგარიშვალდებულების სისტემის გაცნობა
 - პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება სხვადასხვა გზით – თვითშეფასების კითხვარი, პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და სხვ.
 - მხარდაჭერა დაგეგმოს და მართოს პროფესიული საჭიროების შესაბამისი აქტივობები
 - ახალ თანამშრომელთან პერიოდული პროფესიული დიალოგი არსებული სირთულეების პრევენციის/მართვის მიზნით
 - არაფორმალურ აქტივობებში ახალი თანამშრომლის ჩართულობის უზრუნველყოფა
 - თანამშრომლისგან, საქმიანობასთან დაკავშირებით, ხშირი უკუკავშირის მიღება და მისთვის მიწოდება სხვადასხვა გზით
- სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**


5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.


სკოლაში ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია. ხშირად ეს სკოლის ბაზაზე ხდება და ამაში მონაწილეობას იღებს სკოლის მასწავლებლები. აღნიშნული პროცედურები გაწერილია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. სკოლა თანამშრომლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რათა მასწავლებლებმა მიიღონ პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებული მომსახურება. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებსაც უზიარებენ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):











ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური მართვის პოლიტიკა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი
- ხარისხის უზრუნველყოფა სკოლაში

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

36

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად:



სკოლაში მუშაობს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში ეს ჯგუფი გეგმავს გაააქტიუროს მუშაობა. ამჯერად სკოლაში მოქმედებს სწავლის ხარისხის მონიტორინგის სისტემა შესაბამისი კრიტერიუმებით და ამ ჯგუფის რეკომენდაციებით ხდება სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის დირექცია მოსწავლეებისთვის ქმნის საერთო სარგებლობის სივრცეებს. სკოლის ბიბლიოთეკაში მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ როგორც მხატვრული, ასევე პროფესიული ლიტერატურის დამუშავება. სკოლის ბიბლიოთეკა განახლებულია ახალი ლიტერატურით. სკოლაში არის მაკულატურის შეგროვების კულტურა მოსწავლეებსა და მასწავლებლებში. სკოლის ბიბლიოთეკარის ინიციატივით მაკულატურა იცვლება ახალ ლიტერატურაზე. ამ გზით სკოლამ გაიმდიდრა და გაიმრავალფეროვნა თავისი წიგნების საცავი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები:




იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. კერძოდ, მმართველობითი პროცესები წარმოდგენლია სტრატეგიული გეგმით, სამოქმედო გეგმით, სკოლის ძირითადი პროცესებია კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლის დამხმარე პროცესებია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა). სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობისთვის განხორციელებისთვის ყველა პირობაა, უსაფრთხო ფიზიკური გარემო, საკლასო ოთახებში ბუნებრივი განათებებით, ელ. ენერგიით, გათბობის ცენტრალური სისტემით, უწყვეტი ინტერნეტით. სკოლის თანამშრომლები მონაწილეობენ სკოლის მართვაში თავიანთ კომპეტენციების ფარგლებში. მმართველობის დამხმარე პროცესებად სკოლა განიხილავს მშობელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართვას სასწავლო პროცესსა და მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებში.



სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ

გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები გაწერილია „საჩივრის წარდგენის პროცედურებში“ დოკუმენტი დეტალურად მოიცავს პროცედურას თითოეულ შემთხვევაში. საჩივრის წარდგენის წესს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის შემთხვევაში, განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების ვადებს. სკოლაში ასევე მოქმედებს შინაგანაწესი, რომელიც ასევე განსაზღვრავს საჩივრების განხილვის სისტემას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლაში თანამშრომლების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ სკოლის გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები გაწერილია „საჩივრის წარდგენის პროცედურებში“ დოკუმენტი დეტალურად მოიცავს პროცედურას თითოეულ შემთხვევაში. საჩივრის წარდგენის წესს მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის შემთხვევაში, განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების ვადებს. სკოლაში ასევე მოქმედებს შინაგანაწესი, რომელიც ასევე განსაზღვრავს საჩივრების განხილვის სისტემას. სკოლაში დაწყებიდან გაფორმებულია ხელშეკრულებები სკოლასა და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, რომელიც ასევე მოიცავს უფლებებისა და ვალდებულებების ნაწილს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი უფლებების დაცვა
- ხარისხის განვითარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ჯგუფის ბრძანება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სკოლის facebook გვერდს. ასევე მესენჯერსა და სატელეფონო კავშირებს. მშობლებსა და სასკოლო საზოგადოებას საკუთარი აზრის დაფიქსირება შეუძლიათ პირად მიმოწერებშიც, სოციალურ ქსელში მომიწერით, ასევე მშობლებისთვის ცნობილია სკოლის ოფიციალური ელ. ფოსტის მისამართი. საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიან ელ. წერილითაც მიმართონ სკოლას. აღსანიშნავია, რომ სკოლა გეგმავს სათემო პროექტებსაც და საზოგადოების ინფორმირებას ახერხებს ყველა საკომუნიკაციო საშუალებით. ბოლო ასეთი ინიციატივა იყო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტი „სიკეთე გადამდებია“. მათ ქართული გასტრონომიის ნიმუშები დაამზადეს სკოლის ეზოში გაყიდეს და შემოსული თანხით დაეხმარნენ სკოლის სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა მშობლებს. სკოლა ასევე საინფორმაციო დაფაზე ანთავსებს ყველა სიახლეს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სსიპ თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟებოტის საჯარო სკოლის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულია სასკოლო საზოგადოების წევრები სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. მშობლები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენელს სამეურვეო საბჭოში საფეხურების მიხედვით, რომლებიც სამეურვეო საბჭოს მუშაობის პროცესში წარმომადგენენ შესაბამისი საფეხურის მშობელთა ხმას და მათი ინტერესების დამცველს. თითოეული საფეხურიდან თითო წარმომადგენელი, რომელიც სამეურვეო საბჭოს წევრია, მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში. ასევე, ისინი მონაწილეობენ სასკოლო-სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების პროცესში. სამეურვეო საბჭოს წევრი, ასევე, არის სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოადგენს სკოლის მოსწავლეთა ხმას სამეურვეო საბჭოში. მშობლები და მოსწავლეები (2 მოსწავლე, 2 მასწავლებელი, 2 მშობელი) არიან სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრებიც. სკოლაში არჩეულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. ამით დაცულია პარიტეტიც და დისციპლინური კომიტეტის რომელიმე წევრის მიმართ დისციპლინური დევნისას, კომიტეტში რჩება მინიმუმ 3 წევრი, რათა შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილების მიღება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გასაჩივრების წესი
- ვებგვერდის მისამართი
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლისკანონიერი უფლებების დაცვა
- შინაგანაწესი
- ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში

40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას ემსახურება 2 მანდატურის სამსახური. სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეო სათვალთვალო კამერები, რომლითაც სკოლის დერეფნები და შესასვლელ-გასასვლელები კონტროლდება. შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვისათვის სკოლას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები დაცული აქვს. სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული გამოცდილება და კვალიფიკაცია, ასევე, შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.

სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა იგი შეთანხმებული არაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან).

სკოლა არის ოთხსართულიანი და ოთხივე სართულზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმები.

სკოლას არ აქვს შენობის მდგრადობის დასკვნა.

სკოლას არა აქვს დასკვნა ან მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სკოლაში მუშაობს ექიმი, რომელიც შეირჩა კონკურსის წესით. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. ექიმის კვალიფიკაცია არის პედიატრია, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სერთიფიკატით N010788

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამედიცინო პუნქტში ინფრასტრუქტურა მოწყობილია, ექიმის სამუშაო სივრცეში არის ვარგის წამლები დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე არის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა:

1. სკოლასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შორის გაორმებული ხელშეკრულება N171/10 (18.10.2023წ), რომლის საგანი არის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება. აღნიშნული დასკვნის მომზადების თარიღად სკოლას განსაზღვრული აქვს 30.11.2023 წ
2. სკოლამ ასევე წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 19 ოქტომბრის წერილი, რითაც დასტურდება, რომ სამსახურმა შეითანხმა სსიპ-ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა.
3. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 19 სექტემბრის N MES 2 23 0001186303 წერილი, რომლითაც ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიმართავს თხოვნით, შეისწავლონ სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მის შესაბამისად განგვისაზღვროთ მისი ესქპლუატაციის უსაფრთხოება. სკოლას შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქვს 30.11.2023 წ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - მეტწილად შეესაბამება

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას:






სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი. შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი. სკოლაში შემომსვლელი პირები აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში რომელსაც უზრუნველყოფს კარის ქალი. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი. ამ ტიპის ღონისძიებების ეფექტური გატარება ამცირებს და მინიმუმამდე დაჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე ეს მექანიზმები იკითხება შინაგანაწესში და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში. სკოლაში საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი – 112;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი – 2 200 220;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- გ) მანდატურის/უფლებამოსილი პირის მობილური ტელეფონის სამსახურებრივი ნომერი;
- დ) სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის (სამმართველოს) ცხელი ხაზის ნომერი 08 00 00 00 88;
- ე) სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს ცხელი ხაზის ნომერი – 2 200 220 (3335);
- ვ) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481.
- სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ვიზიტისას ვიზუალურად დათვალიერებული იქნა სკოლის მიერ წარმოდგენილი სადამრიგებლო მუშაობის გეგმები, სადაც ჩანს, რომ სკოლაში პრიორიტეტულია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს დაცვა/შენარჩუნება. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სკოლაში არასოდეს გამოვლენილა ფსიქოლოგიური ძალადობის არც ერთი შემთხვევა. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები გაბნეულად იკითხება სადამრიგებლო პროგრამებში, სკოლის შინაგანაწესში და ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში და ადაპტაციის წესში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**






4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს დაცული იყო სანიტარულ ჰიგიენური ნორმები. საკლასო ოთახები იყო სუფთა, სველი წერტილებიც ასევე. ყველა დამლაგებელი აღნიშნავდა, რომ მათ იციან საკუთარი დასალაგებელი სივრცე. სკოლაში დროებით განთავსებულია სხვა სკოლა, რომელიც სწავლას ახორციელებს მეორე ცვლაში. ეს გარემოება გარკვეულ პრობლემებს ჰქმნის დროის თვალსაზრისით, თუმცა სკოლა ახერხებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სველი წერტილების დასუფთავებას პასუხისმგებელი პირები ადასტურებენ ხელის მოწერით. სკოლის ყველა თანამშრომელი დაუყოვნებლივ აწვდის დირექციას ინფორმაციას ინვენტარის ნებისმიერი დაზიანების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სკოლამ წარმოადგინა პერსონალური ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელშიაც გაწერილია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის წარმომადგენლები, დამრიგებლები ან სხვა მასწავლებლები არ ანთავსებენ სოციალურ ქსელში ფოტოებსა თუ სხვა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას მშობელთა ნებართვის გარეშე. სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელია საინფორმაციო მენეჯერი. სკოლაში არ ყოფილა არც ერთი პრეტენზია არასოდეს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები:

სკოლაში ინფორმაციის დაცვის მიზნით სკოლაში ტარდება საინფორმაციო კამპანიები. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების კუთხით კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე თემები შესულია სადამრიგებლო პროგრამებში. ასევე საუბრები იმართება მშობლებთანაც. სკოლაში ფუნქციონირებს მონაცემთა ბაზების ელექტრონული სისტემა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.



სკოლაში შემუშავებულია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი. სკოლა ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების მონიტორინგს და ანგარიშს წარადგენს სამეურვეო საბჭოს წინაშე. მათ მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს ითვალისწინებენ შემდეგ მუშაობაში. როგორც ინტერვიუსას გამოიკვეთა, სკოლაში არასდროს გამოვლენილა მძიმე ხასიათის დარღვევები, ამიტომ ასეთი რთული შემთხვევების მართვის გამოცდილებაც არ არსებობს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**


დასტურდება (მტკიცებულებები):


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოება
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა
- პერსონალური მონაცემების დაცვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბ. ჯიქია დ. ფიქია


შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა





3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

45

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ხარისხიანი სწავლისა და მუშაობის პირობებს. სკოლა არის რეაბილიტირებული. ყველა საჭირო რესურსით. სპორტული დარბაზით, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით და სხვა საერთო სარგებლობის სივრცეებით. სკოლაში ამჟერად არის საკმარისი მერხი და სკამი არსებული მოსწავლეებისათვის. სკოლამ დააყენა შუამდგომლობა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესახებ ნაცვლად 300-ისა განხილული იქნეს 400 მოსწავლე. სკოლა 400 მოსწავლის მომსახურეობას შეძლებს ერთ ცვლაში და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები საკმარისია ამ რაოდენობისმომსახურებისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლაში საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, სტადიონით თუ სხვა საერთო სარგებლობის სივრცით როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე გაკვეთილების შემდეგ. არსებული პრაქტიკით გაკვეთილების შემდეგ ასეთ შემთხვევაში მათზე მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი. ამჟერად სკოლაში მეორე ცვლაში სწავლას ახორციელებს სხვა სკოლა, ამიტომ ამ შესაძლებლობას სკოლა დროებით მოკლებულია.

სკოლა არსებული ინფრასტრუქტურით მოსწავლეთა რაოდენობის მატების შემთხვევაში და საგანგებო სიტუაციების დროს შეძლებს გახდის ნაკადების მართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლაში საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სველი წერტილების ადაპტირებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თუმცა აღსანიშნავია, რომ ეტლით მოსარგებლე ადამიანი ვერ მოახერხებს მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე ასვლას. ასევე დახმარების გარეშე ვერ შეძლებს პირველ სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზში შესვლას, რადგან დარბაზის კართან მისასვლელად საჭიროა კიბის საფეხურებს ჩავლა. ამჯერად სკოლას არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლე ან მშობელი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა: შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც პანდუსისა და ლიფტის მოსაწყობად განსაზღვრულია 18.10.2024

სკოლას ამ მხრივ მუშაობა დაწყებული აქვს, რასაც ადასტურებს სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის 2023 წლის 18 ოქტომბრის N MES 8 23 0001395820 წერილი რომლითაც მიმართავს სენაკის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის უფროსს, რათა უშუამდგომლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან ლიფტისა და სპორტულ დარბაზში შესასვლელად საჭირო პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სკოლაში საკლასო ოთახები ნათდება ბუნებრივად, გარემო არის სუფთა, მოწესრიგებული. ეზო, რომელიც საკმაოდ დიდია, სუფთაა ბუნებრივი ბალახით დაფარული, რომელშიც რეკრეაციული ზონებია. სკოლის ეზოს სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის შეხვედრებისთვის, სკოლაში არის, ბიბლიოთეკა, IT ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, სამასწავლებლო, სპორტული დარბაზი, სკოლა სრულ თავისუფლებას აძლევს მოსწავლეებს, ისარგებლონ აღნიშნული რესურსებით გაკვეთილების შემდეგაც.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში არის საგანმანათლებლო რესურსები. სკოლა ძირითადად იყენებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი რესურსების შეძენა მშობლებს არ უწევთ. სკოლაში არის ლაბორატორიები. სკოლაში მოქმედ ლაბორატორიაში სახელმძღვანელოების ნაწილს არ აქვთ მინიჭებული ნომრები. სკოლამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სასწავლო წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის როგორც ინვენტარიზაციას, ასევე მასში არსებული მხატვრული, მეთოდური, პერიოდიკის და სხვა ტიპის რესურსების კლასიფიცირება/დამუშავებას.

სკოლაში არსებულ პროექტორებზე წვდომა აქვს ნებისმიერ მასწავლებელს. სკოლა უზრუნველყოფილია შიდა სპორტდარბაზით და გარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სპორტული მოედნით. სკოლის IT ლაბორატორიაში არის კომპიუტერები და სივრცე იმისათვის, რომ იმ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, რომელთაც არ აქვთ სახლში ელექტრონული მოწყობილობები, დავალებები სკოლაში შეასრულონ.

სკოლას მიეცა რჩევა: სკოლამ შესაბამისი საინვენტარო ნომერი მიაწოდოს ყველა სახელმძღვანელოს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები
- მიღება - ჩაბარება
- საინვენტარო ფონდი მაკულატურა
- სკოლის ტექნიკური პასპორტი
- ფინანსური ანგარიშგების ტარიფიკაცია
- ფინანსური ანგარიში ერთი წლის
- წიგნის მიღება-გაცემის ჟურნალი
- წიგნობრივი ფონდის საინვენტარო წიგნი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☐ შეესაბამება
 - ☒ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა საკმარისია იმისათვის, რომ როგორც ადმინისტრაციული, ასევე სასწავლო პროცესი წარიმართოს სრულფასოვნად. სკოლაში დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალდერს, მანდატურის სამსახურს აქვთ კომპიუტერები, ასევე IT ლაბორატორია აღჭურვილია კომპიუტერებით. სკოლაში არის პროექტორი, რომელიც ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს საგაკვეთილო მიზნებისთვის. მასწავლებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული კომპიუტერებით ელექტრონული ჟურნალის სრულფასოვნად წარმოებისთვის. სკოლა სარგებლობს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით EFLOW და ESCHOOL. რომელსაც იყენებენ როგორც მასწავლებლებთან ან სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობისათვის.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, წესის პირველივე თავის მიხედვით ყველა ტიპის რესურსი, მათ შორის ინფორმაციული ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისათვის. მეოთხე თავში განსაზღვრულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული რესურსების მოხმარების წესები, ხოლო მე-5 თავში ბიბლიოთეკის რესურსებით სარგებლობის წესი. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია გაკვეთილების შემდეგ 5 საათამდე ისარგებლოს სკოლის რესურსებით. მათზე ზედამხედველობა უზრუნველყოფილია სკოლის საინფორმაციო მენეჯერის მიერ. ასევე სკოლა მშობლებსაც სთავაზობს აღნიშნულ მომსახურებას. რაც შეეხება პროექტორებს, სკოლაში პრაქტიკაში დანერგილი წესის შესაბამისად მასწავლებელი წინასწარი შეთანხმების საფუძველზე უფლებამოსილია ისარგებლოს პროექტორით ნებისმიერ საკლასო ოთახში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური -რესურსებით სარგებლობის წესი
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას შემუშავებული არ აქვს საქმისწარმოების წესი. კორესპონდენციები აღირიცხება ნაწილობრივ დადგენილი წესის შესაბამისად. კერძოდ: N3 ენიჭება საერთო ბრძანებებს. N4 საკადრო ბრძანებებს და N5 ხელშეკრულებებს, რაც შეეხება N1 შემოსულ დოკუმენტაციას, N2 გასულ დოკუმენტაციას, სკოლა მათ აღრიცხვას მატერიალური სახით არ აწარმოებს. დოკუმენტები (ბრძანებები, ხელშეკრულებები) ინახება შესაბამისად და რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალებში. პერსონალისა და მოსწავლის პირადი საქმეები სრულად შეესაბამება მოთხოვნებს. შემოსულ წერილებს პასუხები ეგზავნებათ ვადების დაცვით. განცხადებები მიიღება მხოლოდ უფლებამოსილი პირებისაგან.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 05 ოქტომბრის ბრძანება N2-645, რომლითაც დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. წესში გათვალისწინებულია შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვაც და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

50
 2.
 6.

შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა მართვისთვის იყენებს სკოლის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას eflow, eschool, სკოლა, ასევე, იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას Senaki7@mes.gov.ge . სკოლის ყველა მასწავლებელს აქვს სივრცე eschool-ში. სსსმ და სოციალურად დაუცველი მოსწავლეები მონიშნულია ბაზაში. ასევე მონიშნულია ყველა საჭირო ველი თანამშრომლების შემთხვევაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული აქვს ყველა სავალდებულო ინფორმაცია. სკოლას გააქტიურებული აქვს სოციალურად დაუცველის ველი ყველა ამ სტატუსის მქონე მოსწავლისათვის, ასევე, გააქტიურებულია მილტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე შშმ სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი. სკოლას ჰყავს დევნილი მოსწავლეები, რომლებიც შესაბამისადაა მონიშნული მოსწავლეთა ერთიან ბაზაში. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. ყველა მასწავლებელს გააქტიურებული აქვს თავისი პროფილი და საჭიროებისა და სურვილის მიხედვით ტვირთავენ თავიანთ პროფილზე შესაბამის დოკუმენტებს შესაბამის ველებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**


4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა დროულად და დაუყოვნებლივ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში აწვდის ანგარიშებსა თუ მოთხოვნილ ინფორმაციას საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, თანამშრომლობს მათთან და ამისათვის იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, მათ შორის ელექტრონულ ფოსტას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge> (emis-ის მიერ გამოყოფილი სივრცე) სკოლას ასევე აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. სკოლა ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის იყენებს facebook გვერდს, რომელსაც აქვს საკომუნიკაციო დატვირთვა. ასევე სკოლის თანამშრომლები მშობლებთან ურთიერთობისთვის იყენებენ ტელეფონს, მესენჯერს და teams-ის აპლიკაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ინფორმაციის გავრცელების სანდოობაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი. სისტემა აწყობილია შემდეგნაირად. კათედრის ხელმძღვანელები ან საქამისმწარმოებელი სკოლის საინფორმაციო მენეჯერს აწვდიან ინფორმაციას, ინფორმაციას ამუშავებს საინფორმაციო მენეჯერი და უთანხმებს სკოლის დირექტორს. მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია ხვდება სკოლის საინფორმაციო არხებში. შსამღებელია საინფორმაციო მენეჯერს ინფორმაცია პირადად სკოლის დირექტორმაც მიაწოდოს, ან თავად განათავსოს შესაბამის სივრცეში. ამიტომ სკოლის სახელით გავრცელებული ინფორმაცია ყოველთვის არის ზუსტი, სანდო და უტყუარი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;



სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლა ითვალისწინებს მშობელთა უკუკავშირებს. ცვლილებებს არ გაურბის. ისინი მშობელთა და თემისაგან უკუკავშირებს ძირითადად იღებენ ზეპირსიტყვიერად. მაგალითად ბოლო ასეთი უკუკავშირი იყო მშობელთა მოთხოვნა მოსწავლეთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. სკოლამ მიმართა შესაბამის სტრუქტურებს, რის შემდეგაც მოსწავლეთა მშობლების მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა. სკოლამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ისინი ნებისმიერ ინიციატივას განიხილავენ და თუ მათ ფიზიკური შესაძლებლობა ექნებათ აუცილებლად შეცვლიან მიდგომას და დამოკიდებულებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება


4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;


სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდზე განთავსებული აქვს ინფორმაცია ქართულ ენაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ხ. ქაჩიაძე, დ. ფიქიძე
 



5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას აქვს ვებ გვერდზე განთავსებული აქვს: ინფორმაცია სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, და საკონტაქტო ინფორმაცია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესდება
- სოციალური ქსელის ბმული

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც სკოლა შეძლებს დააფინანსოს სამოქმედო გეგმის განხორციელება. ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშების ტარიფიკაცია, 2022 წლის ფინანსური ანგარიშები და შესყიდვების დოკუმენტაცია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულებას არსებული ფინანსური რესურსების ფონზე საფრთხე არ შეექმნება სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა ფინანსურ რესურსებს მართავს მიზნობრივად. ელექტრონულ საბანკო სისტემის გამოყენებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს აბარებს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. სკოლის ბუღალტრის მიერ შევსებული ფორმები იძლევა მონიტორინგის საშუალებას. სკოლაში ყოველ წელს ტარდება ფინანსური და მატერიალური აქტივების ინვენტარიზაცია. სკოლა შესყიდვების გეგმას ადგენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყოველი წლის 20 ნოემბრამდე და ნებისმიერი გადაუდებელი საჭიროებისას ცვლის მას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ინვენტარიზაცია და შედარების უწყისი
- ინვენტარიზაციის ბრძანებები, ოქმები,
- სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის 2022 წლის ბალანსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ფინანსური ანგარიშების ტარიფიკაცია
- ფინანსური ანგარიში ერთი წლის
- შესყიდვების დოკუმენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გააზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა ში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის მიერ

56

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული შიგა რეგულაციების მეშვეობით. კერძოდ შინაგანაწესით, ბავშვთა უფლებათა კოდექსის მიხედვით მოწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმით, გასაჩივრების წესით, . სკოლის შინაგანაწესი სხვა თემებთან ერთად მოიცავს წახალისების სახეებსაც. სკოლას ჰყავს მანდატური, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას. სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც დაზუსტებულია თითოეული მხარის უფლება-მოვალეობა. სამეურვეო საბჭოსა და დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სკოლის მოსწავლეები, რაც მათ უფლებას უზრუნველყოფს ჩართული იყვნენ სკოლის მართვის პროცესში. სკოლაში მუშაობს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც განიხილავს ნებისმიერი მხარის საჩივრებს არსებობის შემთხვევაში. სკოლას ჰყავს პარიტეტის დაცვით და დემოკრატიული პრინციპებით არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა. რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივებისა თუ იდეების გაჟღერებას და ადვოკატირებას სკოლის მართვის ორგანოებში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**











2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ქცევის კოდექსი, სკოლის შინაგანაწესი და სხვა საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ისინი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე და განთავსებულია ვებ გვედზე შესაბამის გვერდზე. სკოლაში ასევე გამოკრულია სკოლის მისია, სკოლის სტრუქტურა, დამრიგებლების ვალდებულებებში სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლეებისთვის შინაგანაწესის გაცნობას. დამრიგებლის საათის ოქმებით დასტურდება, რომ ისინი კლასის საერთო კრებებზე აცნობენ მოსწავლეებს სასკოლო რეგულაციებს. ასევე სასწავლო წლის დასაწყისში და შემდეგ სემესტრების განმავლობაში მოსწავლეებს ეცნობებათ ინფორმაციები 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. ისინი ასევე გამოკრულია სკოლის დერეფანში თვალსაჩინო ადგილას. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს თავიანთი უფლებების შესახებ ინფორმაცია ეწოდებათ ანიმაციების საშუალებით. საგანზე „მე და საზოგადოება“ და „მოქალაქეობა“ კიდევ უფრო სიღრმისეულად სწავლობენ მოსწავლეები თავიანთ უფლებებს სასკოლო რეგულაციებთან შესაბამისობაში. გამჭვირვალეობას და სანდოობას უზრუნველყოფს პარიტეტის პრინციპით დაკომპლექტებული კოლეგიალური ორგანოები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





მკაფიო ხელშეკრულება.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ისინი კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია. ხელშეკრულება განსაზღვრავს როგორც სკოლის უფლება-მოვალეობებს, ასევე მშობლის უფლებებსა და მოვალეობებს. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის ამ სკოლაში სწავლის მთელი პერიოდის მანძილზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბავშვთა უფლებათა კოდექსის მიხედვით მოწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი
- გასაჩივრების წესი
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი
- ისგ
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი
- მშობელთან დადებული ხელშეკრულება
- შინაგანაწესი

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში მოქმედებს სკოლის მიერ შემუშავებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. ეს წესი მოიცავს შემდეგ თემებს:

- პირველკლასელთა ჩარიცხვა
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაცია და ვადები
- სსსმ მოსწავლეების ელექტრონული რეგისტრაცია და ვადები
- დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა
- დოკუმენტების ჩამონათვალი
- საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვა
- უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარება და მოსწავლის ჩარიცხვა
- მოსწავლის სტატუსის შეჩერება
- სტატუსის აღდგენა
- მოსწავლეთა მობილობა
- კლასისა და საფეხურის დამლევა

წესი ასევე მოიცავს განცხადების ფორმებს სხვადასხვა შემთხვევისთვის, რათა მეტად გამარტივებული იყოს სერვისი. განსაკუთრებული პირობები მოსწავლეთა მიღებასთან დაკავშირებით სკოლას არ აქვს. სკოლაში ირიცხება ყველა მოსწავლე ყველანაირი დისკრიმინაციის გარეშე, სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს ინდ.გეგმების შემუშავების წესი და სსსმ სტატუსის მინიჭების პროცედურები, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობისა და შეწყვეტის შესახებ ყველა საჭირო პროცედურას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ქიქოძე, დ. ფიქიძე



2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ჩარიცხვისა და საფეხურის დამღევს, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მაგალითები. რამდენიმე მოსწავლეს სტატუსი შეუწყდა ოჯახთან ერთად საზღვარგარეთ წასვლის გამო. პროცედურულად საქმისმწარმოებელი ახორციელებს ინდიკატორთან დაკავშირებულ აქტივობებს, თუმცა კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული პროცესში. ინტერვიუს დროს კლასის დამრიგებლებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეებს 10 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევა არ ჰქონიათ, თუმცა იცნობენ რეგულაციებს და იციან როგორია დადგენილი პროცედურა ასეთი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ფასიანი წრეები/ფაკულტატიური მეცადინეობები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:

- ეკო კლუბი „მწვანე სიცოცხლე“
- ფიზიკის წრე „ვერიკა“
- ისტორიის კლუბი „უკეთესი მერმისისაკენ“
- მკითხველთა კლუბი „ერუდიტები“
- ნორჩ შემოქმედთა კლუბი „ოდოჟლერი“

კლუბები დაარსებულია სკოლის ბაზაზე კათედრების მიერ. მათში მონაწილეობა უფასოა და არც კლუბის ხელმძღვანელები იღებენ ხელფასს. მათ შესახებ ინფორმაცია სკოლამ საჯაროდ განათავსა სოციალურ სივრცეში საკუთარ გვერდზე. ასევე სკოლაში დამრიგებლების მეშვეობით ყველა მოსწავლემ იცის კლუბების ფუნქციონირების შესახებ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს განსხვავებულ პროგრამებსა და სერვისებს. რაც შეეხება აქტივობებს, სკოლას აქვს გამოცდილება რამდენიმე სათემო პროექტის განხორციელებისა. მაგალითად პროექტი „სიკეთე გადამდებია“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა გამოფინეს და გაყიდეს საკუთარი ნამუშევრები. შემოსული თანხა კი გადაეცა ამავე სკოლის სოციალურად დაუცველ ოჯახებს. პროექტის შესახებ ინფორმაცია განთავსდა სოციალური ქსელებში. ზოგადად სკოლის მიერ სკოლის სახელით გავრცელებული ინფორმაცია არის არადისკრიმინაციული და იგი მუდმივად ახლდება. აღნიშნული დასტურდება სკოლის facebook გვერდის ანალიზით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა დაშეწყვეტის მექანიზმები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

61

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ. ბერიძე, მ. ფიქი
 ბ. ბერიძე, მ. ფიქი



4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას შემუშავებული მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი; დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა და სკოლაში გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციის მექანიზმები სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად. ასევე სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. დოკუმენტი განსაზღვრავს სწავლის პირველი დღის ორგანიზების წესებს, მოსწავლეს სკოლაში გადმოსვლის შემთხვევაში პირველ რიგში აცნობენ კლასს, ასევე აცნობენ სკოლის კაბონეტების განლაგებას ანუ სკოლის გეოგრაფიას. კლასის დამრიგებელი აცნობს სველ წერტილების განლაგებას, ექიმის სამუშაო სივრცეს, სამასწავლებლოს, სპორტულ დარბაზს. მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს. სკოლა მოქნილად უდგება მიმდინარე საკითხებს და არ გამოორიცხავს მოსწავლის კლასთან ადაპტაციის მიზნით შეიცვალოს კლასის საათების თემატიკა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

სკოლა ახალი გარემონტებულია და განსაკუთრებულად ლამაზი გარემოა სკოლის სივრცეში. დამრიგებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ რეაბილიტაციის შემდეგ შეიცვალა კლასების განლაგება. სკოლას უკვე შიგა სივრცეში აქვს სველი წერტილები, რომლებიც ადაპტირებულია. კლასის დამრიგებლებმა ახალ სივრცეში გადმოსვლისთანავე გააცნეს მოსწავლეებს სკოლის შიგა სივრცეებში კაინეტებისა და საერთო სარგებლობის სივრცეების განლაგება. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან უწყობს ხელს მოსწავლეთა ადაპტაციას. ღონისძიებები აქ ტარდება როგორც საკლასო, ასევე სასკოლო, რომლებიც განსაკუთრებულად უწყობს ხელს მოსწავლეთა ინტეგრაციას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლა საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს, რათა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში დაეხმარონ. რისკ ჯგუფებს ადგენენ კლასის დამრიგებლები. შემდეგ ისინი მშობელთან და საგნის მასწავლებელთან ერთად სახავენ გზებს. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური მეცადინეობა.

სკოლას აქვს ექსპერტის ფორმით მოსწავლისთვის მიღწევის დონის დაძლევის მაგალითები, რომლებიც ძირითადად საზღვარგარეთიდან გადმოსულ მოსწავლეებს ეხება. ამ შემთხვევაშიც სკოლამ კონსულტაციები გაუწია მოსწავლეს საგამოცდო საგანში. სკოლას არ აქვს საშემოდგომო გამოცდები და შესაბამისად მათი მართვის გამოცდილებაც.

წლის მანძილზე საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები თანამშრომლობენ და ახდენენ მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგს. რის შედეგებსაც იყენებენ მომავალი მუშაობის დასაგეგმად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა მზადაა საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს გაუწიოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა. სკოლაში არ დაფიქსირებულია სემესტრული გამოცდის მოთხოვნის ფაქტი სემესტრული ქულის ამაღლების გამო. ეს მასწავლებელთა ნდობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს მშობელთა მხრიდან. ასევე არ აქვთ მოსწავლეებს მძიმე ხასიათის დისციპლინური სახდელები. სკოლაში არ არის უფლებების დარღვევის მაგალითი. ამიტომ სკოლას მძიმე შემთხვევის მართვის გამოცდილება არ აქვს. სკოლაში შემუშავებული შიდა რეგლაციებით მოსწავლეს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს გაასაჩივროს სკოლის მასწავლებლის ნებისმიერი ქმედება. ისინი თავისუფალნი არიან არჩევანში. მათ ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მათ მიმართ სკოლის დისციპლინური დევნიისას დისციპლინური კოიტეტის მუშაობაში. თუმცა არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება და აქტივობა სკოლის გამოცდილებაში არაა. მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს მიეწოდებათ ინფორმაცია მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის შესახებ, სადაც მომსახურება უფასოა.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოქმედებს 5 კლუბი სხვადასხვა მიმართულებით, რომელთაც ხელმძღვანელობს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოჩნდა, რომ სკოლა აგროვებს მონაცემებს საკუთარი მუშაობის გასაუმჯობესებლად. კლუბების ხელმძღვანელები სემესტრების ბოლოს ატარებენ საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც ბავშვები მსჯელობენ განხორციელებულ აქტივობებზე და მათ ემოციებზე. სახავენ სამომავლო გეგმებს. ასევე ავსებენ უკუკავშირის ფორმებს. კლუბის ხელმძღვანელები აანალიზებენ მოსწავლეთა სურვილებსა და ინტერესებს, რის შემდეგაც ცვლიან/ტოვებენ სამომავლო გეგმებს. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადაპტაცია
- ეკო კლუბი „მწვანე სიცოცხლე“
- სკოლის თვითმართვებლობის სამუშაო გეგმა
სკოლის თვითმართვებლობის მისია

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩიძე

ნ. ჭიჭილაძე დ. ფიქი
ფ. ჩიქოძე ნ. ჯაფარიძე

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეეთათვის.

- მოსწავლეს მისცეს საშუალება: ერთის მხრივ გამოსცადოს პროფესიულ აქტივობათა ციკლი, ხოლო მეორე მხრივ ტიპიური სამუშაო რუტინა. ასევე გამოიყენოს სპეციფიკური აღჭურვილობა, ინსტრუმენტები და მასალები პროფესიით განსაზღვრული პროდუქტებისა და შედეგების მიღების მიზნით.
- მოზარდის შესაძლებლობებისა და მზაობის გათვალისწინებით გაწაფოს იგი კონკრეტული აქტივობების შესრულებაში (მარტივი გაუმართაობების აღმოფხვრა საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაზიანებულ ელექტრო ნივთებზე), რათა გააფართოვოს მისი შესაძლებლობები, რაც მას ყოველდღიურ ცხოვრებაში და/ან დასაქმების გარკვეულ ადგილას და პირობებში გამოადგება.
- მოზარდს გაუადვილოს გადაწყვეტილებების მიღება და მომზადებული შეხვდეს ცხოვრების შემდგომ ეტაპს, რაც სასურველი პროფესიის არჩევას უკავშირდება.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

65

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. John 7. John ---
John 8. John ---



დაკავშირებით:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; აცნობს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე, კერძოდ, ღია კარის დღეს, საგამოცდო ფორმატის ცვლილებების, ახალ პროგრამების, ასევე, სრულ ინფორმაციას პროფესიულ სასწავლებლებზე. სკოლის მოსწავლეები გადიან სხვადასხვა მცირე საწარმოებში, სადაც ეცნობიან ახალი პროფესიების შესახებ ინფორმაციებს. იმართება შეხვედრები საჯარო სკოლის შენობაშიც. პრიორიტეტული მიმართულებების შერჩევას მოსწავლეები ახდენენ გაცნობიერებულად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. შეფასება ხდება სასწავლო წლის ბოლო პედსაბჭოზე, სადაც კლუბების ხელმძღვანელები, კათედრების ხელმძღვანელები და ცალკეული მასწავლებლები წარადგენენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ. სკოლის ადმინისტრაცია აგროვებს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა პროფესიულ არჩევანთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღწევნის ისინი დასახულ მიზნებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შეესაბამება**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროექტი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ. ქაჩიაძე, დ. ფიქია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. კერძოდ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ქმნის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმას, სადაც გაწერილია გასახორციელებელი აქტივობები, მათი შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება და დასკვნის შედგენა, სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის რეგულაცია, მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირება. სკოლის 6 სსსმ მოსწავლეს, რომელთაგან 5 შეფასებულია 2019 წელს, ხოლო ერთი 2020 წელს, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ესაჭიროება ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 2 მათგანს ასევე ფსიქოლოგი, ხოლო 2023 წლის აგვისტოში შეფასებულ ერთ პირს ასევე დასკვნის საფუძველზე ესაჭიროება ოკუპაციური თერაპევტი. სკოლას აღნიშნული სპეციალისტები არ ჰყავს და მათ მოსაძიებლად კონკურსი არ გამოუცხადებია. შესაბამისად აღნიშნული მოსწავლეები ვერ იღებენ საჭირო სერვისს.











სკოლამ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ენისა და მეტყველების სპეციალისტის, ფსიქოლოგისა და ოკუპაციური თერაპევტის მოძიებისათვის ვადად განსაზღვრა 15.01.2024 წ. სკოლას ამ მხრივ მუშაობა დაწყებული აქვს. რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის 19 ოქტომბრის ბრძანება N1-161 საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, ასევე ახალი სამტატო განრიგი, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მასში განსაზღვრულია ენისა და მეტყველების სპეციალისტის, ფსიქოლოგისა და ოკუპაციური თერაპევტის შტატები. ასევე წარმოდგენილია ე.წ. სქრინი ვებ საიტიდან teachers.gov.ge, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლას აღნიშნულ პოზიციებზე ვაკანსიები უკვე გამოცხადებული აქვს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **მეტწილად შეესაბამება**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლაში თითოეული მოსწავლისთვის დირექტორის ბრძანებით იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდ. გეგმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





შემუშავებას და განხორციელების ხელშეწყობას. სკოლას ჰყავს ერთი სპეცმასწავლებელი, რომელიც უფროსის სტატუსისაა. სკოლას აქვს რესურსოთახი შესაბამისი რესურსებით. წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. ინდ. გეგმები შემუშავებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე და მორგებულია მოსწავლის საჭიროებებზე, შესაძლებლობასა და უნარებზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - **შესაბამება**

დადასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების განხორციელება შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესის დამტკიცება
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ინტერვენციის გეგმა
- ისგ სამუსაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- ისგ, მე-4 კლასი, N7 სკოლა, სენაკი(ლუკა სახოკია)
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჰიგინენის,უსაფრთხოების დაცვის შესახებ

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლას ამ ეტაპზე აქვს ტრანსპორტირების სერვისი. კვებას არეგულირებს მეიჯარე. ასევე იჯარითაა გაცემული ფართები მუსიკის და ცეკვის წრეების ფუნქციონირების მიზნებისთვის. სკოლას იჯარით გაცემული აქვს სასწავლო დროისაგან თავისუფალი ფართები კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლის მის მოსწავლეებს ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სკოლას ამ დროისთვის აქვს ტრანსპორტით მომსახურება. რომელიც ხორციელდება მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. კვებას არეგულირებს მეიჯარე. ასევე იჯარითაა გაცემული ფართები მუსიკის და ცეკვის წრეების ფუნქციონირების მიზნებისთვის. წრეებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და კოლეგიალურ ორგანოსთან შეთანხმებული

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ტრანსპორტით მომსახურება, და კვების ბლოკის, მუსიკისა და ცეკვის წრეების ფუნქციონირება ხორციელდება კანონით დადგენილი უფლებების მოპოვების შემდეგ.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა - შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- აუქციონი ბუფეტი;
- აუქციონის ვადების ბრძანება
- იჯარა კვება, მუსიკა, ცეკვა
- ტრანსპორტირების ტაბელი
- ტრანსპორტირების ინსპექტირება 1
- ტრანსპორტირების ინსპექტირება 2
- წერილი სამინისტროს თანხმობის შესახებ(იჯარა, ბუფეტი)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

Handwritten signature

Handwritten signature

Handwritten signature

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signatures of experts

Handwritten signatures and stamps



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
კოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჯიქიაძე, დ. ფიქიაძე



VI. რჩევა- დაწყებითი საფეხური

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

2. სასკოლო კურიკულუმი-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ -ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას აქვს შემუშავებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა ფაზა:

(ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია. პირველ ეტაპად მოცემულ დოკუმენტში ხაზგასმულია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, რომლის მიხედვით

დაწყებით საფეხურზე ყველა საგნის სწავლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კურიკულუმის განვითარების პროცესში ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობებს, რათა შემუშავების პროცესში სკოლამ მეტად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტული საკითხები. მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ სასკოლო კურიკულუმის ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია მასწავლებლების ზოგადი ფუნქციები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოვალეობები. ამავე დოკუმენტში ჩანს, კათედრის თავჯდომარის, კათედრის, დირექციის როლი სამუშაო პროცესში. დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობას, წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე იმ საკითხების გამოკვეთას, რომელიც მოსწავლეთა მიერ საფეხურის ფარგლებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის დამღვევის შეფასების საშუალებას მისცემს სკოლას. მასწავლებლებთან ინტერვიუსას იკვეთება, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რაც მიზნად ისახავს ყველას ჩართულობას, მათი შეხედულებების გათვალისწინებას და მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებას.

დაწყებით საფეხურზე კურიკულუმების ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება- კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა ამუშავებს შუალედურ მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. დოკუმენტაციის საფუძველზე და მასწავლებლების გასაუბრებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან როგორც თემატურ საკითხებზე, ისე შეფასების ინსტრუმენტებზე. ისინი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ



2.1.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2.1.1.1. რჩევა: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში სკოლამ დააკონკრეტოს და განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც მოახდენს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების კვლევას (მაგ: ფოკუს ჯგუფი, კითხვარი, რეფლექსია და სხვა).

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;


სსიპ -ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა კარგად აცნობიერებს, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენლის ინტერესი უნდა აისახოს კურიკულუმებში, ამიტომ მათი შემუშავებისას ითვალისწინებს წინარე გამოცდილებასა და მათგან მიღებულ უკუკავშირს. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შექმნის პროცესში მასწავლებლებმა გაითვალისწინეს 2022-2023 სასწავლო წლის მოსწავლეთა შედეგები, სხვადასხვა პროექტის განხორციელების დროს გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებები, ინტერესები, სურვილები, მასწავლებელთა მიგნებები, პრობლემები. კათედრის სხდომებზე ხდება წინა წლის გამოცდილების გაზიარება, კათედრათა შორის იმ სასწავლო თემების გამოკვეთა, რომელთა ინტეგრირება დაეხმარება მოსწავლეს თემის სიღრმისეულად გაგებაში. ასევე, მსჯელობა იმ საკითხებზე, რომელზეც მეტი საზოგადოებრივი ინტერესი იკვეთება.

როგორც ავღნიშნეთ, დაწყებით საფეხურზე სკოლა აანალიზებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს მშობლებისგან მიღებულ ინფორმაციას. მასწავლებლებსა და კათედრის ხელმძღვანელებს ეკისრებათ ვალდებულებები ამ მიმართულებით, რაც გაწერილია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში“. გარდა ამისა, კათედრის ოქმების დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე მუშაობა საშუალებას იძლევა, კურიკულუმები მოერგოს სასკოლო ინტერესებს. მაგალითად: შემაჯამებელი და კომპლექსური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დავალებების ანალიზის ფორმების განხილვის საკითხი ;(კათედრის ოქმები).

სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით და ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში არაფორმალური განათლების საშუალებით კარგად მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გააქტიურება, რაც დასტურდება სკოლაში განხორციელებული ღონისძიებებითა და საკლასო ოთახებში წარმოდგენილი (გამოფენილი) პროექტებით და მოსწავლეთა ნამუშევრებით; დაწყებითი საფეხურის კათედრის შესრულებული პროექტი: „ ჩვენი ქვეყნის კუთხეები“, ასევე შემეცნებით ექსკურსიებით.

მსგავსმა აქტივობებმა ხელი შეუწყო სასკოლო საზოგადოების დაახლოებას. მომავალში პედაგოგები გეგმავენ სწავლა -სწავლების პროცესის დაკვირვების და გაანალიზების შედეგად გამოკვეთილი საინტერესო მიგნებები და გამოცდილებები უფრო აქტიურად დანერგონ სასკოლო ცხოვრებაში, გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკი და პიროვნული თავისებურებები, სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ინტერესი, შესაძლებლობები, საჭიროებები და ასახონ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

1.1.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს საკოლო საზოგადოების ჩართულობას შემუშავებისა და დანერგვის პროცესში. სასკოლო კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და

კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის განვითარების პროცესში მასწავლებლებსა და დირექციას მკაფიოდ










განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. კერძოდ, სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ვალდებულია აქტუალური და პრობლემური საკითხები განიხილოს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან, რაც აჩენს სივრცესა შესაძლებლობებს

კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი ჩართულობისთვის. სკოლა თავად აკონკრეტებს თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში (მაგალითად, მშობელთა ინფორმირების გზა შეიძლება იყოს

კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა, ელექტრონული ჟურნალით. მათთან კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა და სხვა). მასწავლებელმა მონაწილეობა უნდა მიიღოს კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის ძლიერი

და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში გაითვალისწინოს რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია შეიმუშავებს.

სკოლაში ვიზიტისას და მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მთლიანად არის ჩართული კურიკულუმების შემუშავების პროცესში . პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ სამივე საფეხურზე .სხვადასხვა კათედრების თანამშრომლები ერთად





განიხილავენ პრობლემურ საკითხებს. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, ერთმანეთს უთანხმოებენ შესასწავლ თემებსა და საკითხებს სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, კომპლექსური დავალებების იდეებს და მათ განხორციელებას, ერთობლივად ზრუნავენ საჭირო ძირითადი რესურსებზე შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მშობელთა კრებებზე განიხილავენ მშობლების მოსაზრებებს და მათგან მიღებულ უკუკავშირის ითვალისწინებენ კურიკულუმების შემუშავებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.1.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. პედაგოგები როგორც ერთმანეთს აცნობენ მათ, ისე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. კურიკულუმებში გაწერილ საკითხთა ურთიერთმიმართება გვიჩვენებს საფეხურის პედაგოგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის ოქმები ცხადყოფს, რომ განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ერთობლივი ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმებსაც გამოცდილების გაზიარებისა და საუკეთესო შედეგების მიღწევის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.1.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2.1.1.4 რჩევა; სკოლამ გაზარდოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მოახდინოს პასუხისმგებლობის დელეგირება/გადანაწილება (მაგ: მშობელთა სამუშაო ჯგუფების შექმნა) იმისათვის, რომ კურიკულუმი იყოს საერთო შემოქმედებითი პროდუქტი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმების განვითარების მეთოდოლოგია
- შემუშავებული 1-6 კლასის კურიკულუმები.
- კათედრის ოქმები
- მასწავლებელთა ინტერვიუები
- საკლასო ოთახებში წარმოდგენილი (გამოფენილი) პროექტებით და მოსწავლეთა ნამუშევრები
- წარმოდგენილი პროექტები, საპრეზენტაციო მასალები, რესურსები
- ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, მიემართება საგნობრივ სტანდარტებსა და საფეხურის შედეგებს. დაწყებით საფეხურზე სწავლება დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის შესაძლებლობას, შერჩეულ კომპლექსური დავალების იდეებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკი და წინარე ცოდნა. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები, მათ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის მრავალფეროვანი გამოცდილება, რომლის ნიმუშებიც მრავლად არის წარმოდგენილი სკოლის სხვადასხვა კაბინეტსა თუ დერეფნებში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება ახალი სასწავლო წლიდან კვლავ აგრძელებს აღნიშნული მიმართულებებით მუშაობას, იქნება ეს კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები თუ ინტეგრირებული გაკვეთილები, ასეთი სასწავლო პროცესი კი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვასა და განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები):



სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების ანალიზის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები, დაფარულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულად მუშავდება. (საგნების მიხედვით იყო მცირე უზუსტობები, მაგ: არ იყო წარმოდგენილი ყველა სავალდებულო თემა ან სამიზნე ცნება, თუმცა, ამასთან დაკავშირებით ინტერვიუს მიმდინარეობის პროცესში მასწავლებლებს მიეცათ რჩევა/რეკომენდაცია).

წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული პოზიტიურ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებში წარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციების შესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებისაკენ. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულობასა და მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების ხელშეწყობა ხდება სასკოლო პროექტებისა და ინტეგრირებული გაკვეთილების საშუალებით, ასევე, საგაკვეთილო პროცესში ჯგუფური სამუშაოების აქტიური გამოყენებით. მასწავლებლებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ სასწავლო პროცესში თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტის გამოყენება, მათ აღნიშნეს, რომ ხშირად მიმართავენ აღნიშნულ ტექნიკას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებასა და გამოყენებას. კომპლექსური დავალების პირობები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითაროს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარები, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.1.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან



3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ დაწყებითი საფეხური განსაკუთრებით დატვირთულია სასწავლო პროცესში სხვადასხვა ვიზუალური, აუდიო თუ სხვა ტიპის მასალების გამოყენებით, რათა მოსწავლეებში მაქსიმალურად განვითარდეს სხვადასხვა უნარი, შეძლონ მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. ინტერვიუს პროცესში მათ ასევე აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ მოსწავლეებს იმის საშუალებას, რომ თავად შეარჩიონ კომპლექსური დავალების პროდუქტი, შეარჩიონ საპრეზენტაციო თემა თუ სხვა. ზოგადად, ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების გათვალისწინება ხელს უწყობს დიფერენცირებული სწავლების დანერგვასა და ინკლუზიური გარემოს შექმნას, სკოლის მიერ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





წარმოდგენილი დოკუმენტაცია კი, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად არის შემუშავებული. სკოლას გააზრებული აქვს რომ, ყველა მოსწავლეს აქვს განსხვავებული შესაძლებლობები და საჭიროებები, გამომდინარე აქედან, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს, რომელთა საშუალებითაც ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროებები მოარგონ მათ უნარებს და შესაძლებლობებს. სკოლას მტკიცებულებებში წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების ბრძანება, მონიტორინგისა და შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც ხაზგასმითაა ნახსენები, რომ სკოლის თითოეული წევრი თანაბრადაა ვალდებული ხელი შეუწყოს სკოლაში ინკლუზიური გარემოს ფორმირებას, რაც ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს მასწავლებლებმა და აღნიშნეს, რომ სკოლის თითოეული წევრი ზრუნავს ისეთი გარემოს შექმნაზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენასა და განვითარებას. სკოლას ჰყავს სხსმ მოსწავლეები, რომელთა ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მშობელი, საგნის მასწავლებლები, სპეცმასწავლებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.1.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2.1.2.3 რჩევა; სკოლამ დააკონკრეტოს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, ვინ და რა პერიოდულობით, რა საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, დააკონკრეტოს კრიტერიუმები, რომლითაც განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რათა შერჩეული ინსტრუმენტები/კრიტერიუმები მაქსიმალურად მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს:

დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის გუნდს აქვს შესაბამისი მზაობა და კომპეტენცია შექმნას და განავითაროს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი რუბრიკები, რომლებშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, რომლებიც მიემართება საგნის სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებსა და სავალდებულო თემებს. (საავტორიზაციო ვიზიტისათვის არ იყო წარმოდგენილი ყველა საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, თითოეულ თემასთან მიმართებით, თუმცა, სკოლის გუნდს აქვს აღნიშნულის განხორციელების მზაობა და კომპეტენცია. ამასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა/რეკომენდაცია). დაწყებითი საფეხურის მათემატიკის პედაგოგების მიერ წარმოდგენილია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის რამდენიმე ნიმუში I-VI კლასებში, მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში ითვალისწინებენ საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებსა და საფეხურის შედეგებს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სემესტრის დასრულების შემდეგ კათედრის წევრები ერთობლივად განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს და კლასის დამრიგებლებთან და მშობლებთან კომუნიკაციის საფუძველზე გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტი, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩუაძე

ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი
ნ. ჯიქიაშვილი

ორიენტირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.1.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2.1.2.4 რჩევა; საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე, საგან „ჩვენ საქართველოში“ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დაწყებით საფეხურზე უნდა შეიმუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც უპასუხებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია სადაც აღნიშნავენ, რომ ახალი კურიკულუმის შექმნამდე სკოლა ვალდებულია შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნან ახალი კურიკულუმი. თუმცა, წარმოდგენილი მეთოდოლოგია არის ზოგადი და საჭიროებს დაზუსტებას, სკოლამ უნდა დააკონკრეტოს ის გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს იმის გაგებას მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და აქვს თუ არა მიმდინარე პროცესებს შესაბამისი ეფექტი. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, აქტიურად იყენებენ „კრიტიკული მეგობრის“ ტექნიკას, იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, მშობელთა კრებებზე კი იღებენ უკუკავშირის მშობლებისგან და ითვალისწინებენ მათ ინტერესებს. გარდა ამისა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ტექნიკებს და მოსწავლეების უკუკავშირის ითვალისწინებენ შემდეგი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში. დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რაც გამოიხატება იმით, რომ კურიკულუმში გაწერილი აქვთ ის კონტექსტ მაგალითები, რომელთა განხორციელების გამოცდილებაც უკვე აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ



2.1.2.5 ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

რჩევა: სკოლას ვურჩევდით, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია გახადოს მეტად კონკრეტული, კერძოდ, მასში აღწეროს ის გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს მონიტორინგსა და შეფასებას, დაადგენს მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და როგორ/რა ეფექტით მიმდინარეობს დაგეგმილი პროცესები.

დასტურდება (მტკიცებულებები):



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესის დამტკიცება;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- ინდ. გეგმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრები დაწყებით საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. წელს უცხოურ ენაში პირველ და მეორე კლასში ახალი გრიფირებული წიგნები შემოვიდა უცხო ენის კათედრამ ამ კლასებში შეძლო და წარმოგვიდგინა ახალი სახელმძღვანელოების მიხედვით გაწერილი კურიკულუმები. კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა შესაძლებლობისა და ინტერესებიდან გამომდინარეა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას იაზროვნოს, კლასში ნასწავლი ცოდნა ცხოვრებისეულ კონტექსტებში გადაიყვანოს და კლასის წინაშე წარადგინოს რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, მაგ.მესამე კლასის მათემატიკის კურიკულუმში გაწერილი აქვთ კონტექსტმაგალითები: ფინანსური მათემატიკა და მხიარული სტარტები, აღნიშნული დავალებების განხორციელებისთვის საჭიროა მოსწავლეთა აქტიურობა და შემოქმედებით პროცესებში ჩართულობა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ ასეთი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს აქტიურად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას ხელს უწყობს ასევე სკოლაში არაფორმალურ განათლება, სოციალური თუ სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც აქტიურად დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევრებით. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართოს მომავალშიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით:

დაწყებით საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, წარმოდგენილი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, შესასწავლი საკითხების თანმიმდევრობა, მასალის ორგანიზება კომპლექსური ბუნების დავალებების საფუძველზე, ნაცნობ კონტექსტებზე და მათთან დაკვიშირებულ შედარების მაგალითებზე დაყრდნობით იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. უცხო ენაში წარმოდგენილი ერთი განხორციელებული დავალებიდან ნათლად ჩანს რომ დავალების „ჩემი საოცნებო სახლი „ წარდგენისას მასწავლებელი მე 6 კლასელებს სთავაზობს ამ საკითხთან დაკავშირებული ნაცნობ კონტექსტებს. რაც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და გააქტიურებას უწყობს ხელს დაფუძნებით., რომელიც ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას ახდენს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მოსწავლეთა წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაყრდნობით, ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ, კონსტრუქტივისტულად, თანმიმდევრულად წარმართავენ სასწავლო პროცესს ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, დაწყებით საფეხურზე, 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმებში კომპლექსური დავალებები აგებული იქნება კონტექსტ მაგალითებზე დაყრდნობით, რომელიც უკავშირდება მოსწავლეთა წინარე ცოდნას და აღძრავს მათში საკითხის შესწავლის ინტერესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩიკაძე

ნ. ჭიჭიკაძე
ნ. სეჩიკაძე
ნ. სეჩიკაძე
ნ. სეჩიკაძე



3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე:

დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირის საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი უცხო ენის ერთ ერთი განორციელებული დავალება, სადაც მოსწავლე ასახელებს მუშაობის ეტაპებს და თანმიმდევრულად აღწერს ზეპირი კომუნიკაციის განხორციელებისათვის წარმოებულ მიზნობრივ პროცესს. მსჯელობს ლაპარაკის სტრატეგიებზე და აღწერს ნამუშევრის გაუმჯობესების გზას მასწავლებლებმაც ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები, შეხედულებები. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეები ჩართული არიან ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ არსებული ფიზიკური თვისებების განვითარების, ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის გამოვლინებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების საშუალებას აძლევს. დაწყებითი კლასების მათემატიკის კურიკულუმში გაწერილი აქვთ თითოეულ კლასში 2 კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალების განხორციელების შემდეგ მოსწავლემ უნდა გააკეთოს პრეზენტაცია, ისაუბროს თუ რა როგორ შეასრულა, რა გაუჭირდა და რა გაუადვილდა, რითაც ხელი შეეწყობა მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე წარმატებით ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლის ფარგლებშიც და აგრეთვე, კომპლექსური დავალების გასაიტყვების პროცესში ხდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული):

ესგ-ის მიხედვით უმნიშვნელოვანესია ცოდნის კონსტრუირება, რაც გულისხმობს როგორც დეკლარატიულ, ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე მუშაობას. სკოლაში დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). უცხო ენის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლების ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე I- VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოები, კომპლექსური დავალების განხორციელება მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების. მოსწავლე უცხო ენაში დაგროვილი ლექსიკურ თუ გრამატიკულ ცოდნას იყენებს ყოველდღიურ საგაკვეთილო სავარჯიშოებსა და აქტივობებში, შემდეგ კი საკუთარ ცოდნას ასახავს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობ, რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებში და აკეთებს ნაშრომის პრეზენტაციას.

ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მთავარია მოსწავლემ მიღებული ცოდნა უნარებად აქციოს და პრაქტიკულად გააქტიუროს, ანუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნას ისეთი პროდუქტი, რომელიც ხაზს გაუსვამს მიღებული ცოდნის მიზნობრიობას. მართალია, ტრანსფერი თავისთავად არ ხდება. საჭიროა სწავლების სპეციალური დაგეგმვა, ინტერაქციის, თანამშრომლობის და მრავალფეროვან დავალებათა არჩევის შეთავაზება. სწორედ ამიტომ სკოლის მასწავლებლები გეგმავენ უფრო მეტ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და სასწავლო პროექტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. საგნობრივ კათედრებს ეს ფაქტორები გათვალისწინებული აქვს საგნობრივი კურსულუმის შემუშავების პროცესში, სკოლაში ვიზიტისა მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ძირითადად ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით უცხო ენის კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება სკოლის დოკუმენტაციაში არსებობს -VI კლასში ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა .ინტეგრირება მოხდა ორ უცხო ენაში ინგლისურსა და რუსულში. თემა - „ ზედსართავი სახელები ინგლისურ და რუსულ ენებში“. გაკვეთილის მიზანი კი იყო მოსწავლეებს შეძლებოდათ კომუნიკაცია უცხოურ ენაზე, ასევე გრამატიკული მოვლენების ერთმანეთისგან განსხვავება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება და მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობის მიღება.

მასწავლებლებს აქვთ მზაობა, მოაწყონ უფრო მეტი არაფორმალური, პროექტული და პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობები, სადამრიგებლო საათზე განხორციელონ აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას, დაკავშირებას და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ






2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შექმნილი კურიკულუმები. (1-6).
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამა
- სასწავლო პროექტები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- მასწავლებელთა პორტფოლიო
- ანგარიშები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



• სასწავლო რესურსები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:






1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს, კურიკულუმის ანალიზის მიხედვით თვალსაჩინოა რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე ამოცნობა კომპლექსური დავალებების შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება, იდეების მრავალფეროვნება, კრეატიულობა. დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი აქვთ ასაკის შესაფერისი საინტერესო კომპლექსური დავალებები, საიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ სამიზნე ცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან დააკავშირონ, ჩანს თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი მოცემული დავალებით, თუმცა ზოგჯერ დასაზუსტებელი აქვთ თემის შესაბამისად სამიზნე ცნების ქვეცნებები, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მიუხედავად იმისა რომ სკოლის კურიკულუმში ეროვნული სასწავლო გეგმით წარმოდგენილი ყველა თემა არ მუშავდება კომპლექსური დავალებებით, ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, თემის ფარგლებში ხდება კომპლექსური დავალებით. სკოლა მუშაობს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებით. მაგ, ესთეტიკის ათედრის მიერ წარმოდგენილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკაში ჩანს თემის კონტექსტი, სადაც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და ხაზგასმულია რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. ასევე, სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში იკითხება რომ სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე ფოკუსირებული დაკვირვების ინსტრუმენტები ზოგადი (სასწავლო გარემო, კლასის მართვა, სასწავლო რესურსები, კომუნიკაცია, ინსტრუქციები, სწავლის სტრატეგიები, ჩართულობა, შეფასება) რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც მასწავლებლის პრაქტიკის კვლევის ფარგლებში, ასევე, მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით. აღნიშნულიდან გამომდინარე,

84

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბ. ბერიძე, მ. ფიქი ----

ბ. ბერიძე, მ. ფიქი ----

შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას:

სსიპ ქალაქ სენაკის N 7 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სწავლა რეალურად არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციალური - ემოციური სფეროს განვითარებაზეც. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოჩნდა, რომ მათ აქვთ სწორი ხედვა თუ როგორ წარმართონ სასწავლო პროცესი ისე, რომ მოსწავლეს განუვითარდეს ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის, სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები და მოსწავლემ სწავლა- სწავლების პროცესში შეიძინოს როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული გამოცდილება და შეძლოს მოახდინოს ცოდნის ტრანსფერი.

მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი ხშირად მიმართავენ განმავითარებელი შეფასების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლის დროსაც მოსწავლეებს უყალიბდებათ ადეკვატური თვითშეფასება და შეუძლიათ დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები.



2023-2024 სასწ. წელს დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალების შესრულებით მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ გამოავლინონ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე მოსწავლეებში გუნდური მუშაობის წახალისება, მეგობრული ურთიერთობების დამყარებას უწყობს ხელს, რაც უზრუნველყოფს სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას, განსხვავებული აზრის პატივისცემას და მიმდებლობას. ამ პროცესში მოსწავლე ხდება ემპათიური, უმაღლდება თვითშეფასება და თვითგამოხატვა, ამ ყოველფერს ხელს უწყობს არაფორმალური განათლება და პროექტული სწავლება სკოლაში. სასკოლო თუ საკლასო სასწავლო პროექტები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ზემოთ აღნიშნული უნარების გააქტიურებას. სკოლაში ჩატარებული ყველა ღონისძიება, პროექტული თუ საკლასო სამუშაო ტარდება სასკოლო საზოგადოების, კათედრის წევრების იდეების რეალიზებით და აქტიური მონაწილეობით. სკოლაში ვიზიტისას საკლასო ოთახებში გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები, კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტი, შესრულებული პროექტები და მასწავლებლებთან ინტერვიუ გვაფიქრებინებს, რომ საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე:

სსიპ ქალაქ სენაკის N 7 საჯარო სკოლა შეფასებისას იყენებს თითოეული საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას. ამავდროულად მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ

85




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნ. ქიქოძე, დ. ფიქიძე ----



მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სოციალური მდგომარეობა, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლის პიროვნული განვითარებისათვის შეფასება უნდა ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს, რათა წარმოჩინდეს ბავშვის ემოციურ-სოციალურ-კოგნიტური განვითარება. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებით და პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათელია რომ სასკოლო კურიკულუმი და შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. სკოლის მიერ შემუშავებულ ვერიფიკაციის დოკუმენტში იკითხება რომ, მასწავლებლები ელექტრონულ ჟურნალში ათავსებენ ინდივიდუალურად მოსწავლის მიღწევების შესახებ ჰოლისტურ შეფასებას, სადაც უნდა იყოს გათვალისწინებული: ცოდნის დონე ცნებების მიხედვით, საშინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობა, თანამშრომლობა კლასის/სკოლის ფარგლებში, პრეზენტაციის უნარი) ესთეტიკური საგნების კურიკულუმით დაგეგმილი სწავლებისას კათედრას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, პროცესის მიმდინარეობა. შესაბამისად წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების ნიმუშები ფოკუსირებულია ცოდნის აგებასა და გამოყენებაზე, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ



2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც ასახავს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას და მოსწავლის შეფასების მიზნით მოსწავლეთა მიღწევების შეფასების წესს. სკოლაში შეფასების შიდა ვერიფიკაციის სისტემის მექანიზმით რეგულირდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესი და პროცედურა. სკოლის დირექტორი, კათედრები, ხარისხის განვითარების ჯგუფი და სასკოლო საზოგადოება სათანადოდ არიან ჩართული შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში.



სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, თუმცა ის არ აისახება განმსაზღვრელ შეფასებაზე. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუს მიხედვით თვალსაჩინოა თუ რა სტრატეგია უწყობს ხელს საზოგადოების მხრიდან შეფასების სისტემის აღქმა გააზრებას -სკოლის შვიდ წლიან სტრატეგიულ გეგმაში პირველ მიმართულებად ხაზგასმულია სკოლაში სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა. მოსწავლეთა პროგრესზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების სისტემის დანერგვა; სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების მუდმივი შეფასების უზრუნველყოფა მათი გაუმჯობესების მიზნით, რაც თავის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხრივ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესს და პროცედურის ვალდებულებას, შეფასების შედეგებზე მოსწავლეთა ინფორმირების სისტემას ადგენს, რომელიც მოცემულია სკოლის მიერ მოწოდებულ ვერიფიკაციის მექანიზმსა და მოსწავლის შეფასების ინსტრუქციაში.

დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებლების მიერ დოკუმენტებში წარმოდგენილია შერჩეულ კონტექსტ მაგალითებზე მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; ინტერვიუს დროს კი პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს წინასწარ გააცნობენ როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლებსაც და მათი უკუკავშირის საფუძველზე, ცვლილებებს შეიტანენ რუბრიკის კრიტერიუმებში.

სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასების ვალიდურობისთვის გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, გეგმავს ინფორმაციის შეგროვებას რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს. სასწავლო პროცესის ანალიზისათვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდით ხდება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. გარდა აღნიშნულისა, შეფასების მრავალფეროვნებისთვის კათედრები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავენ მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნასთან

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი:



სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა დაწყებით საფეხურზე, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას, ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრები აქტიურად არიან ჩართული ამავე პროცესში; საგნის მასწავლებლები ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას;

კათედრის სამუშაო შეხვედრებზე განიხილება კომპლექსური დავალებები, აქტივობების შეფასების რუბრიკები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც თვითონ შეიმუშავენ და დანერგეს პრაქტიკაში. დირექცია და ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდებიან სხვადასხვა დავალების შეფასების მექანიზმს.

კეთდება ანალიზი, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული შეფასების რუბრიკებით მოსწავლემ შეძლოს შედეგების გაუმჯობესება და




ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნ. ქიქოძე, დ. ფიქიძე





გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით და საბაზო საფეხურზე სემესტრში ერთხელ ტარდება საგნობრივი/ინტეგრირებული სადიაგნოსტიკო ტესტირებები ელექტრონული/მატერიალური ფორმით. სსსმ მოსწავლეთათვის იქმნება ადაპტირებული სადიაგნოსტიკო ტესტები იგივე ფორმატით. მასწავლებლები წელიწადში სამჯერ ელექტრონულ ჟურნალში ათავსებენ ინდივიდუალურად მოსწავლის მიღწევების შესახებ ჰოლისტურ შეფასებას, სადაც უნდა იყოს გათვალისწინებული: ცოდნის დონე ცნებების მიხედვით, საშინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობა, თანამშრომლობა კლასის/სკოლის ფარგლებში, პრეზენტაციის უნარი). მშობელი ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ეცნობა მასწავლებლის მიერ გაცემულ უკუკავშირს. მასწავლებლები კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ აკეთებენ კომპლექსური დავალებების აქტივობების შეფასებას. პროცესები, რომელიც აღწერილია ვერიფიკაციის დოკუმენტში ქმედითია და აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასებების აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადებში. მასწავლებლები ელექტრონულ ჟურნალში ათავსებენ ინდივიდუალურად მოსწავლის მიღწევების შესახებ შეფასებას. მშობელი ინდივიდუალურად და ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ეცნობა მასწავლებლის მიერ გაცემულ უკუკავშირს.

2.2.2.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ;
- დაწყებითი საფეხურის(1-6 კლასი) საგნობრივი კურიკულუმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ვერიფიკაციის მექანიზმი.
- დაწყებითი კათედრის ანგარიშები.
- განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- საჯარო სკოლის ანგარიში 2022-23 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მასწავლებელთა ინტერვიუ
- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინდ სასწავლო გეგმები;
- კათედრის ოქმები
- სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:


1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო:


სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან იკითხება, რომ სკოლა ცდილობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ურთიერთობები დაფუძნებულია ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, დიდ გავლენას ახდენს სასწავლო გარემოზე. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის მხარდაჭერაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო გეგმაში ხაზგასმულია თანამშრომლობითი და პოზიტიური გარემოს შექმნის ხელშეწყობა, კერძოდ, “დაწყებით საფეხურზე სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდა და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის” წარმოადგენს დაწყებითი საფეხურის მისიის ერთ-ერთ ქვეპუნქტს. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებით აქტიურია კომუნიკაცია მშობლებთან, მათთან ურთიერთობა ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და შედეგების გაუმჯობესებას. მაღალია სასკოლო საზოგადოებაში მიმღებლობის ხარისხი, რასაც ხელს უწყობს პედაგოგებისა და დამრიგებლების საუბრები, სადამრიგებლო საათები, სხვადასხვა აქტივობა, პროექტები, ღონისძიებები. აღნიშნული, ასევე, გამოიკვეთა პედაგოგებთან საუბარში სკოლაში ვიზიტისას. სკოლის ვიზუალურმა დათვალიერებამ, საკლასო ოთახების მოწყობამ და მასში განთავსებულმა ნამუშევრებმა ცხადყო სკოლის მასწავლებელთა ორიენტირება მოსწავლეთა შედეგებზე, სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების ზრუნვა მხარდამჭერ და მიმღებლობითი გარემოს შექმნაზე. სკოლაში განხორციელებული პროექტები: სიცოცხლე ხმელეთზე,


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:































მეორადი ნარჩენების მართვა, ჩემი თვალთ დანახული სამყარო, სიცოცხლე ხმელეთზე, არა ფენიციდს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, სიკეთე გადამდებია, ჰელოუნის დღე, დედამიწა ენი სახლია და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სასწავლო პროცესი წარმოდგენილია მოსწავლეზე ორიენტირებულად:

დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებენ მოსწავლეების ინტერესებს და საჭიროებებს. სწავლის პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა, ხდება იმის გაცნობიერება რომ ყველა მოსწავლე სხვადასხვა ტემპით და განსხვავებული სტილით სწავლობს. მოსწავლეზე ორიენტირებულ გარემოში აქცენტი კეთდება არა ფაქტობრივ ცოდნაზე არამედ ფუნქციური უნარებისა და საკვანძო იდეების სიღრმისეულ გააზრებაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ ყველა მოსწავლეს აძლევენ საშუალებას ჩაერთონ სასწავლო პროცესში თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით, რაც მათ მაქსიმალურად გამოვლენის და თვითრეალიზაციის საშუალებას აძლევს. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები სხვადასხვა მიმართულებით. ეკო კლუბი „მწვანე გარემო“, ინტელექტუალური კლუბი „რა? სად? როდის?“, სამოქალაქო კლუბი „უკეთესი მერმისისათვის“, ლიტერატურული კლუბი „ოდოჟდერი“, ფიზიკის წრე „ნორჩი ფიზიკოსები“, ისტორიის წრე „ისტორიანნი და აზმანნი“. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შემოქმედებტ პროცესში. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვას სახის სასკოლო თუ სკოლის გარეთ მოწყობილ სპორტულ ღონისძიებებში, რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზეა მორგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ



2.2.3.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუდან ირკვევა, რომ სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია. გამოცდილების გაზიარება ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, კათედრებს შორის თანამშრომლობით. პედაგოგები ხშირად იკრიბებიან, მართავენ დისკუსიებს, მსჯელობენ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე, ადგენენ საჭიროებებს, გეგმავენ საკლასო და სასკოლო აქტივობებს, ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, განიხილავენ სახელმძღვანელოებს. დაწყებითი კლასების ოთხი მასწავლებელი ჩართულია USAID-ის საგანმანათლებლო პროგრამაში და ესწრება ტრენინგებს. ტრენინგებზე მიღებულ ცოდნას და სიახლეებს მუდმივად უზიარებენ კოლეგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.3.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩიძე

ნ. ჭიჭიკაძე
ნ. სეჩიძე
ნ. სეჩიძე
ნ. სეჩიძე



სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური სასწავლო გარემო, მასწავლებლები ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ - ემოციური კომპეტენციების მხარდაჭერას და გაძლიერებას. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით გეგმავენ და აანალიზებენ იმ პროცესებს, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. პოზიტიური საკლასო გარემოს შესაქმნელად დაწყებით კლასებში ოთახები გაფორმებულია მიმზიდველი და სასიამოვნო სურათებით, თვალსაჩინოებით, სასწავლო მასალებით; გამოფენილია მოსწავლეთა ნაშრომები. სკოლა ახდენს წარმატებული მოსწავლეების მოტივაციას, ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში, როგორც სასკოლო, ისე რაიონული მასშტაბით. აქვს მიღწევები და წარმატებები შემოქმედებით და სპორტულ აქტივობებში, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. სკოლისა და კლასის დონეზე. ჩანს ძლიერი თანამშრომლობითი კავშირები სასკოლო საზოგადოებას შორის, რომელიც ეფუძნება ღირებულებებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალურ განათლებას, ამ კუთხით გეგმავენ სასკოლო ექსკურსიებს, ლაშქრობებს, და რა თქმა უნდა სასკოლო პროექტებს. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მუშაობს სასკოლო კლუბები საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში. დანერგილია სასკოლო საზოგადოებაში წარმატების გაზიარების, წახალისების, ცალკეული მოსწავლისა თუ კლასის მიღწევების აღიარების კულტურა. ასევე თანამშრომლობასა და ურთიერთპატივიცმაცხად დაფუძნებულ გარემოს ორგანიზება და შენარჩუნება. ყოველივე ეს პოზიტიური გარემოს შექმნას უწყობს ხელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების კითხვარის ფორმა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- შემუშავებული კურიკულუმები (1-6).
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- ანგარიშები
- სასკოლო და საკლასო პროექტები
- ვიზუალური დათვალიერება
- მასწავლებელთა ინტერვიუები
- პროექტები, პრეზენტაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად:

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. სასწავლო წლის განმავლობაში კვლევა და შეფასება ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);
3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიაში გაწერილია პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ქსავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და აქტივობის განხორციელების ვადები სკოლას გაწერილი აქვს ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაშიც.

ინტერვიუებისას გაირკვა, რომ პედაგოგები სამომავლოდ განახორციელებენ შექმნილი კურიკულუმების მონიტორინგს გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასახავენ შეფასების დოკუმენტში და მოახდენენ ანალიზს.

სკოლას აქვს მზაობა კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მიმართულებით გააუმჯობესოს მუშაობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას:



სკოლის ყველა პედაგოგს გააზრებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა, რადგან იგი ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობას და მიმართულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებისა და მასწავლებლების მხარდაჭერისაკენ. სკოლის დოკუმენტაციაში მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, კურიკულუმის განხორციელების პროცესში პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2.3.1.2. რჩევა: კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არის ზოგადი და საჭიროებს ნაბიჯებისა და მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების დაზუსტებას. საურველია სკოლამ განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს მონიტორინგსა და შეფასებას, იმის გაგებას მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და როგორი ეფექტით მიმდინარებს, ასევე, განსაზღვროს შესაბამისი ვადები და პასუხისმგებელი პირები.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეიფიძე

ნ. ჭიჭიძე დ. ნიჭიძე
ფ. ჭიჭიძე ნ. ჭიჭიძე

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე ინტერვიუს პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ ვინაიდან სასწავლო პროცესი დინამიური ხასიათისაა, რა თქმა უნდა თავს იჩენს გარკვეული პრობლემები. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების გზა, პირველ რიგში ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარეების, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად დაგეგმვენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდეს კათედრის ოქმებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2.3.1.3 რჩევა: სასურველია სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი იყოს , კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში გამოკვეთილი პრობლემის / პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული აქტივობები



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- მასწავლებელთა ინტერვიუ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩუაძე

ნ. ჭიჭიკაძე დ. ფიქია
ნ. ჭიჭიკაძე დ. ფიქია



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა შეფასებისას იყენებს თითოეული საგნის სტანდარტის ფარგლებში კათედრებზე შემუშავებული შეფასების რუბრიკებს, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა სამიზნე ცნებისა და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას. ამავდროულად მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სოციალური მდგომარეობა, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლის პიროვნული განვითარებისათვის შეფასება უნდა ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს, რათა წარმოჩინდეს ბავშვის ემოციურ-სოციალურ-კოგნიტური განვითარება. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის.

სასწავლო პროცესში სკოლა დაწყებით საფეხურზე იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებებს (მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მხოლოდ განმავითარებელს, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან მე-6 კლასის ჩათვლით- განმავითარებელსაც და განმსაზღვრელსაც). შეფასება კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წერილობითი და ზეპირი ნამუშევრების შეფასებებთან დაკავშირებით. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს , რომ მათ იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან, აგრეთვე, აქვთ ჯგუფური მუშაობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, თუმცა არა აქვთ წარმოდგენილი რუბრიკები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.2.1 . ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

2.3.2.1 რჩევა; სასურველია, სკოლამ დაწყებით საფეხურზე მატად მიაქციოს ყურადღება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში წარმოადგინოს ისინი. ასევე, შეიუმუშაოს ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებული კრიტერიუმები.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით:

სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. სკოლა ასევე აქტიურად იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ დადგინდა, რომ სკოლის გუნდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მნიშვნელოვნად მიიჩნევა მოსწავლეთა შეფასებას, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების გამოყენება სასწავლო პროცესში, თუმცა, როგორც თავად აღნიშნეს ძირითადად იყენებენ ზეპირ უკუკავშირს, ახალი სასწავლო წლიდან კი გეგმავენ საგნის სტანდარტის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა/გაუმჯობესებას. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისათვის ეყრდნობიან საგნის სტანდარტით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს. ინტერვიუს დროს მათ ასევე, აღნიშნეს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მონაცემთა დამუშავების შემდეგი პრაქტიკა, კათედრების მიხედვით ყოველი სემესტრის ბოლოს იკრიბებიან და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, შემდეგ კი, დამრიგებლებთან და მშობლებთან თანამშრომლობით ცდილობენ გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გაუმჯობესებას მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისათვის. გარდა ამისა, სასწავლო პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შეფასების დროს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გამოყენება და მათი უკუკავშირის გათვალისწინება შემდგომი ინტერვენციებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ


2.3.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.


3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები:

მასწავლებელთა ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, მოსწავლეთა შეფასებისას სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბარათი და ა.შ. შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები ადგენენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით, თემის შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით. აკვირდებიან მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. სკოლის დოკუმენტაციაში არსებობს ამის დამადასტურებელი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები ინგლისურ და რუსული ენაში, რომლებიც ეფუძნება უცხო ენის გრძელვადიან სამიზნე ცნებებს ყოველ შემაჯამებელ დავალებებს ახლავს მოსწავლის შეფასების რუბრიკა, რომელიც წინასწარ ეცნობება მათ. კათედრის წევრებთან საუბრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს: დაკვირვების ჩანაწერები, შეფასებების შედეგების ანალიზი, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. სკოლა მომავალი წლისთვის აპირებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკის განხორციელებას. კლასის საათის ფარგლებში გეგმავენ მაქსიმალურად ამომწურავი და სანდო ინფორმაციის მიღებას კითხვარების შევსების, საშუალებით მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით.

სკოლა გამოხატავს მზაობას, შეფასების ვალიდურობისთვის გამოიყენოს ასევე მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები, რაც უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში მონაცემთა შეგროვების გამოცდილება არსებობს. სასწავლო პროცესის ანალიზისათვის მონაცემთა შეგროვება სხვადასხვა მეთოდით ხდება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. გარდა აღნიშნულისა, შეფასების მრავალფეროვნებისთვის მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა სახის









ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



რუბრიკას, გეგმავენ მათ დახვეწასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით, საკლასო და საშინაო დავალებების შედეგების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.2.3 . ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას. შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალური, ეთნიკური წარმომავლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. ამისათვის საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებლებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.2.4 . ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შესრულებული დავალებები
- მასწავლებელთა პორტფოლიო
- მასწავლებელთა ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად დებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. საგნობრივი კათედრები კურიკულუმებზე მუშაობისას აანალიზებენ, როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა პროცესები უწყობდა ხელს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, როგორი იყო მშობლებთან კომუნიკაცია. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ და უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. სკოლის დირექცია ახდენს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო საზოგადოების წევრები რეკომენდაციებს მიაწვდიან საგნობრივ კათედრებს, სადაც გაითვალისწინებენ გამოცდილებას, ცატარებული კომპლექსური დავალებების რეფლექსიებს ახალი კურიკულუმის შედგენისას. აღნიშნულიდან გამომდინარე,

2.4.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.


2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრები გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგის შედეგებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად კურიკულუმები შექმნილია არსებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია ხარვეზები და წარმატებული პრაქტიკა. შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი უზრუნველყოფს მომდევნო წელს საგნობრივი კურიკულუმები იყოს უფრო დახვეწილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და მასში გათვალისწინებული მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის შედეგები და შესაბამისი ცვლილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





2.4.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- 1-6 კლასების საგნობრივი კურიკულუმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი -საბაზო საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეფიძე

ნ. ქიქოძე დ. ფიქი
ქ. ჯიშკაძე დ. შატაშვილი



1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე სკოლის საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინებას. წარმოდგენილ „კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში“ აღნიშნულია, რომ ესაა „გზა“, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სთავაზობს მოსწავლეს პიროვნული განვითარებისთვის,“ ამ პროცესში კი ჩართულია მთლიანად სასკოლო საზოგადოება, ამიტომ მეთოდოლოგიის შემუშავებისას გათვალისწინებულია როგორც პრიორიტეტები, ისე განსხვავებული ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს აგრეთვე სასკოლო პროექტების განხორციელებას (რომელ პრიორიტეტულ თემებს შეეხება სასკოლო პროექტები; რა კავშირშია ისინი ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასთან);

დამატებით საგანმანათლებლო სერვისებს (კლუბები, წრეები და სხვა); სწავლა-სწავლების რა მეთოდები და სტრატეგიები უნდა იქნას გამოიყენებული დასახული მიზნების მისაღწევად (მაგალითად, საგანთა შორის ინტეგრირება, ტექნოლოგიების გამოყენება, კომპლექსური დავალება (როგორც სწავლების მეთოდი) და სხვა); რა ტიპის სასწავლო რესურსებს გამოიყენებს სასწავლო მიზნების მისაღწევად (გრიფირებული სახელმძღვანელოები); რა დამატებით სასწავლო მასალას გამოიყენებს სკოლა (მათ შორის ციფრული რესურსები) სასწავლო პრიორიტეტების განხორციელებისას, მათ შორის რესურსებს, რომლებსაც სასკოლო საზოგადოების წევრები (მაგალითად, მშობელები) და გარე პარტნიორები შესთავაზებენ (მაგალითად, ექსკურსიების ორგანიზება, მუზეუმში ვიზიტი).

მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საბაზო კლასების პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთანაც და სხვა საფეხურის მასწავლებლებთანაც. კათედრების წევრებს შორის, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაწილდება ფუნქციები, რაც მიზნად ისახავს კურიკულუმის შემუშავებისას ყველას ჩართულობას, მათი შეხედულებების გათვალისწინებას, კათედრებს შორის თამშრომლობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთობას. აგრეთვე, კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით მუშავდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. სასურველია, სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია გახადოს მეტად კონკრეტული და მოქნილი დოკუმენტი, განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც მოახდენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების კვლევას (მაგ: ფოკუს ჯგუფი, კითხვარი, რეფლექსია და სხვა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

ინდიკატორი 2.1.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

რჩევა 2.1.1.1. სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია გახადოს მეტად კონკრეტული და მოქნილი დოკუმენტი, განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც მოახდენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების კვლევას (მაგ: ფოკუს ჯგუფი, კითხვარი, რეფლექსია და სხვა).

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები:

საბაზო საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას სსიპ ქალაქ სენაკის N 7 საჯარო სკოლა წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, ეყრდნობა მოსწავლეთა შედეგებს, მათ უკუკავშირს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავებისას აანალიზებენ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, ითვალისწინებენ კათედრის სხდომებზე განხილულ საკითხებს, როგორებიცაა: შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, აკადემიური შედეგების ანალიზი, (ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმი N3, ოქმი N5), კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების განხილვა (ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმი N4) და ა. შ. გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციასაც. მათ აქვთ მოსწავლეებსა და მშობლებთან სისტემატური კომუნიკაცია, რათა მიღებული უკუკავშირით უფრო ეფექტიანად დაიგეგმოს სასწავლო პროცესი. წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები, დაკვირვებები და მიგნებები საშუალებას იძლევა, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე იყოს ორიენტირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ








2.1.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასკოლო კურიკულუმის განვითარება კომპლექსური პროცესია. მასში უამრავი ადამიანი იღებს მონაწილეობას, თუმცა, პასუხისმგებლობის ცენტრი გადადის კათედრის თავმჯდომარეებზე, დირექტორზე და დირექტორის მოადგილეზე, ხარისხის განვითარების ჯგუფზე, რომლებიც პასუხს აგებენ სასწავლო პროცესების მიმდინარეობასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სასკოლო კურიკულუმის განვითარება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის თანამშრომლობის რეჟიმში ხდება. ამ პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას.

სასკოლო საზოგადოება მთლიანად არის ჩართული კურიკულუმების შემუშავების პროცესში. თვალსაჩინოა კათედრათაშორისი ურთიერთობები. წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ დეტალურადაა გაწერილი სკოლის ადმინისტრაციის, კათედრის თავმჯდომარის, დამრიგებლისა და მასწავლებლის მოვალეობები. როგორც საბაზო საფეხურის მასწავლებლებმა განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, კათედრაზე ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული საკითხი განიხილება მშობელთა კრებებზეც, რათა გათვალისწინდეს მათი უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **ინდიკატორი 2.1.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**









4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ, რაც კარგად ჩანს კურიკულუმებში გაწერილ საკითხთა ურთიერთმიმართებაში, ასევე, იმ აქტივობებში, რომლებსაც ერთობლივად ახორციელებენ. ამის დასტურია სასკოლო ღონისძიებები, რომლებიც ასახულია სკოლის სოციალურ გვერდზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების გაზიარებაზე ზრუნავენ არა მარტო კათედრების სხვადასხვა საფეხურზე, არამედ მთლიანად სასკოლო საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას. ეს ხდება პედაგოგიური საბჭოს კრებებსა და მშობელთა კრებებზე, მშობლებთან ინტენსიური კომუნიკაციის გზით. როგორც „კურიკულუმის განვითარების დოკუმენტშია“ აღნიშნული, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, პორტალი ვებგვერდზე, სოციალური მედია და ბეჭდვითი მასალები, თუმცა სკოლამ მტკიცებულებები აღნიშნული მიმართულებით ვერ წარმოადგინა. სასურველია, გაიზარდოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მოხდეს პასუხისმგებლობის დელეგირება/გადანაწილება (მაგ: მშობელთა სამუშაო ჯგუფების შექმნა, მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურება) იმისათვის, რომ კურიკულუმი იყოს საერთო შემოქმედებითი პროდუქტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

ინდიკატორი 2.1.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

რჩევა: გაიზარდოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მოხდეს პასუხისმგებლობის დელეგირება/გადანაწილება (მაგ: მშობელთა სამუშაო ჯგუფების შექმნა, მოსწავლეთა თვითმმართველობის გააქტიურება) იმისათვის, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კურიკულუმი იყოს საერთო შემოქმედებითი პროდუქტი.

დასტურდება (მტკიცებულებები) :

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები(9-11 კლასები);
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- კათედრების ოქმები.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.




ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი მტკიცებულებების/დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მეთოდოლოგია განმარტავს, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. საჭიროებების კვლევა და პრიორიტეტების განსაზღვრა- სწორედ ასეთი დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, შერჩეული კომპლექსური დავალების იდეები კი, იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობას, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზის ფორმა, რომელშიც მასწავლებლების მიერ გაწერილია რეკომენდაციები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ კომპლექსური დავალებებით მუშაობის გამოცდილება, გარდა ამისა საბაზო საფეხურზე აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები და კლუბური აქტივობები (მაგალითად: ინტეგრირებული პროექტები ქართულისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას შორის „9 აპრილიდან 9 აპრილამდე; მათემატიკისა და მუსიკის კათედრის ინტეგრირებული პროექტი “მათემატიკა არის ანბანი, რომლითაც ღმერთმა აღწერა სამყარო” და „უკეთესი გავიცნოთ საქართველო“- მონაცემთა ანალიზის შესწავლა; ასევე ინტეგრირება ხელოვნებასა და მუსიკას შორის; ინტეგრირებული გაკვეთილი „ვახტანგ გორგასალი ქართულ ენასა და ლიტერატურაში და ისტორიაში“ ინგლისური ენა და რუსული ენის გაკვეთილი-„ ზედსართავი სახელი რუსულ ენასა და ინგლისურ ენაში“ და ა.შ. აქტივობები, ღონისძიებები, კონფერენციები, სასკოლო პროექტები და კლუბური მუშაობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას, სადაც მოსწავლე თავად ხდება საკუთარი ცოდნის ამგები და ეძლევა საშუალება განავითაროს საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობები. სკოლაში მოქმედი კლუბები -, მკითხველთა კლუბი- ერუდიტები“ და ნორჩ შემოქმედთა კლუბი“ ოდოჟლერი“ - სახელმწიფო ენის კათედრა; „უკეთესი მერმისისაკენ“- საზოგადოებრივი კათედრა, „მწვანე სიცოცხლე“-საბუნებისმეტყველო; „ევრიკა“ - ფიზიკა- მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზეა მორგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ


ინდიკატორი 2.1.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან


2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები):


სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები და სხვა დოკუმენტაცია იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, სავალდებულო თემები, რომელიც სასწავლო პროცესს გრძელვადიანი მიზნებისაკენ წარმართავს, კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტ მაგალითები კი, ხელს უწყობს მოსწავლის გააქტიურებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. გლობალურ ფუნქციური უნარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლებაც, ინტეგრირებული გაკვეთილები, კლუბური სამუშაოები და სასკოლო პროექტები, რომელიც მოსწავლეებში ავითარებს თანამშრომლობის, კომუნიკაციის, თვითრეფლექსიურ თუ სხვა უნარებს. ამ მხრივ კი სკოლას აქვს მრავალფეროვანი გამოცდილება, ისინი აქტიურად ახორციელებენ


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:































სასკოლო პროექტებსა თუ კლუბურ სამუშაოებს, რაზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს პედაგოგებმა და რასაც ასევე ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **ინდიკატორი 2.1.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს:

სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, მონიტორინგისა და შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა, აღნიშნული მონიტორინგის და შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რჩევა/რეკომენდაცია. აღნიშნულ დოკუმენტებში ხაზგასმითაა ნახსენები, რომ სკოლის თითოეული წევრი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინკლუზიური/დიფერენცირებული გარემოს ფორმირებასა და განვითარებას, რაც ინტერვიუს დროსაც დაადასტურეს მასწავლებლებმა, მათ აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივი ძალებით ცდილობენ მოსწავლეებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენასა და განვითარებას. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი ხშირად ახდენენ კომპლექსური დავალებების პირობის, პროდუქტის მოდიფიცირებას (მაგ: მე-8 კლასში საგან გეოგრაფიაში, მოსწავლეებს მოკლე აღწერები უნდა მოემზადებინათ იმ გეოგრაფიული ობიექტების შესახებ, რომელიც შეისწავლეს, სსმ მოსწავლისათვის კი მასწავლებელმა მოახდინა პროდუქტის ადაპტირება და მას შესთავაზა დაეხატა აღნიშნული ობიექტები. მასწავლებლის თქმით, მოსწავლემ დავალებას თავი წარმატებით გაართვა, რადგან ის იყო მორგებულ მის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე). სკოლაში აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები და კლუბური აქტივობები, რომლებშიც მოსწავლეები თავიანთი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით ერთიანდებიან და ეძლევათ ინდივიდუალური საჭიროებების განვითარების შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს დიფერენცირებული და ინკლუზიური გარემოს ფორმირებას. სკოლა ახორციელებს შინ სწავლებას, რაზედაც შესაბამისი დოკუმენტაციას აწარმოებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ **ინდიკატორი 2.1.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს:

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს. წარმოდგენილი რუბრიკებში დაცულია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული შესაბამისი კრიტერიუმები (საავტორიზაციო ვიზიტისათვის არ იყო წარმოდგენილი ყველა საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, თითოეულ თემასთან მიმართებით, თუმცა, სკოლის გუნდს აქვს აღნიშნულის განხორციელების მზაობა და კომპეტენცია. ამასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა/რეკომენდაცია). საბაზო საფეხურზე მათემატიკის კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გაწერილი კონტექსტ მაგალითებისა და შესაბამისი თემებისთვის, მოთხოვნების შესაბამისად; პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა შექმნან წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსად, საბაზო საფეხურის სტანდარტით სავალდებულო ყველა თემისთვის. მასწავლებლებმა აღნიშნეს,



რომ სწავლისა და შეფასების პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების შედეგებს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულობისათვის. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში ახდენენ კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზს და მიღებულ შედეგებს ითვალისწინებენ შემდგომი ინტერვენციებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

ინდიკატორი 2.1.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

რჩევა, რომ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უნდა შექმნან წარმოდგენილი ნიმუშების მსგავსად, საბაზო საფეხურის სტანდარტით სავალდებულო ყველა თემისთვის.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი კურსკულიმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ახალი კურიკულუმის შექმნამდე სკოლა ვალდებულია შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნას ახალი კურიკულუმი. თუმცა, ეს მეთოდოლოგია არის ზოგადი და საჭიროებს დაზუსტებას, სკოლამ უნდა დააკონკრეტოს ის გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს იმის გაგებას მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და აქვს თუ არა მიმდინარე პროცესებს შესაბამისი ეფექტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ ისინი ახდენენ მიმდინარე საქმიანობის რეფლექსიას, რაც წარმოდგენილი აქვთ მტკიცებულების სახითაც, გარდა ამისა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლეთა ურთიერთშეფასების და თვითშეფასების კომპონენტს, რომელსაც ითვალისწინებენ შემდგომი დაგეგმვის პროცესში. ასევე, ახდენენ კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებლების ანალიზს, სემესტრის ბოლოს განხილავენ მოსწავლეთა შედეგებს და ამის გათვალისწინებით გეგმავენ შემდგომ ინტერვენციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

ინდიკატორი 2.1.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან







დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო-სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები; სოლო ტაქსონომია
- მასწავლებლის რეფლექსია;
- კლუბები წესდება/ სამოქმედო გეგმები
- ინტეგრირებული გაკვეთილი გეგმები/ პრეზენტაციები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- აკადემიური შეფასების ანალიზის ფორმა;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- მოსწავლეთა შესრულებული დავალება;
- კონფერენციის მასალა;
- ისგ-ს შეფასების რუბრიკა;
- მასწავლებლების ურთიერთშეფასების ფორმა;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესის დამტკიცება;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრები საბაზო საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა შესაძლებლობისა და ინტერესებიდან გამომდინარეა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას იაზროვნოს, კლასში ნასწავლი ცოდნა ცხოვრებისეულ კონტექსტებში გადაიყვანოს და კლასის წინაშე წარადგინოს რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ ასეთი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს აქტიურად იყენენ ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას ხელს უწყობს ასევე სკოლაში არაფორმალურ განათლებას, სოციალური თუ სხვადასხვა პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლებლობას. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართოს მომავალშიც. უცხო ენის კათედრამ განახორციელა პროექტები: „ჰელოუინის დღე“ „კვითხულობით შექსპირს“ და „დედამიწა ჩვენი სახლია“, რომლებიც ნამდვილად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ასევე გეოგრაფიაში განხორციელდა პროექტები: „სისოცხლე ხმელეთზე“, ჩემი თვალით დანახული სამყარო“, მეორადი ნარჩენების მართვა“, „საქართველოს დემოკრატიული რესოუბლიკა“ და სხვა. მოსწავლეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება პრიორიტეტულია სასკოლო საზოგადოებისათვის. ვიზიტის დროს სპორტის კათედრამ წარმოადგინა მოსწავლეთა გამარჯვების დამადასტურებელი პრიზები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

ინდიკატორი 2.1.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ირკვევა, რომ საგაკვეთილი პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას ცოდნის კონსტრუირების გზაზე, რაც დასტურდება კურიკულუმით, ინტერვიუს დროს ხაზგასმული სასწავლო პროექტებით, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, სასწავლო პროცესში გამოყენებული

Handwritten signature

Handwritten signature

Handwritten signature

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Handwritten signatures of experts

Handwritten signatures and stamps



მასალებით/რესურსებით, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზით. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტშია განხილული, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. საგნობრივი კურიკულუმები გათვლილია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ყოველი თემა მუშავდება ეტაპობრივად, წინარე ცოდნის გააქტიურებით იწყება კომპლექსური დავალების პირობის გააზრება, ან მისთვის ნაცნობი კონტექსტითა თუ ცხოვრებისეული მაგალითით ეხმარება ახალი ინფორმაციის ძველთან დაკავშირებაში. შედეგად, მოსწავლე ინტერესით ერთვება მსჯელობაში, გამოთქვამს ვარაუდებს, ფიქრობს პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობაზე. კურიკულუმებში მოცემული საკვანძო შეკითხვები, დავალებების კონტექსტს მაგალითები და სიტუაციური ქეისები ეხმარება მოსწავლეს ახალი ცოდნის კონსტრუირებაში. მნიშვნელოვანია თემის შიგნით ლოგიკური კავშირების არსებობა.

უცხო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები აგრებულია თემატური თანმიმდებრობით კომპლექსური დავალებები კი ეფუძნება წარმოდგენილ კონტექსტ მაგალითებს და მაგალითებს შედარებისთვის ეს ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას და მათ გააქტიურებას უწყობს ხელს, ახდენს ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

ინდიკატორი 2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე:

სკოლი საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც, თავის მხრივ, განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ, კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი. მასწავლებლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლებისას დიდ ყურადღებას აქცევენ არა მხოლოდ ცოდნის შეძენას, არამედ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და ამის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმს, აკეთებენ შეფასების ანალიზს და აძლევენ რეკომენდაციას. ისინი მიმართავენ სხვადასხვა მეთოდს. მასწავლებელს მოსწავლეზე დაკვირვება შესაძლებლობას აძლევს გამოიკვლიოს, თუ როგორი ფორმით შეუძლია ისწავლოს, ვიზუალური, კეთებით თუ სხვა რაიმე ფორმით. კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. კათედრებზე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყოველი დავალების განხორციელების ბოლოს მოსწავლეები ასახელებენ მუშაობის ეტაპებს და თანმიმდევრულად აღწერენ ზეპირი კომუნიკაციის განხორციელებისათვის წარმოებულ მიზნობრივ პროცესს. მსჯელობენ ლაპარაკის სტრატეგიებზე და აღწერენ ნამუშევრის გაუმჯობესების გზას. სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნათლად ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე წარმატებით ხორციელდება სასკოლო პროექტები, რომლის ფარგლებშიც და აგრეთვე, კომპლექსური დავალების გასიტყვების პროცესში ხდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

[Handwritten signature]

[Handwritten signature]

[Handwritten signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

[Handwritten signatures]

[Handwritten signatures]

2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული):

საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძიება. საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლების ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (VII-IX კლასის კურიკულუმის ჩარჩოები). მოსწავლე უცხო ენაში დაგროვილი ლექსიკურ თუ გრამატიკულ ცოდნას იყენებს ყოველდღიურ საგაკვეთილო სავარჯიშოებსა და აქტივობებში, შემდეგ კი საკუთარ ცოდნას ასახავს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობ, რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებში და აკეთებს ნაშრომის პრეზენტაციას საფეხურზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ










2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სსიპ ქალაქ სენაკის N 7 საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, უცხო ენისა და სახელმწიფო ენის, საზოგადოებრივი ეცნიერებების და ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიუებისას აღნიშნეს, რომ კათედრებზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს არაფორმალურ, პროექტულ, პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებსა და ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რომელთა ჩატარების დიდი გამოცდილება აქვს სკოლას, ცოდნათა ურთიერთ დაკავშირება ხდება არაფორმალური მიმართულებითაც, როდესაც მოსწავლეები სწავლა-სწავლების პროცესში მიღებულ ცოდნას უკავშირებენ პროექტების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებს როგორც სასკოლო, ისე სკოლის გარეთ ცხოვრებაში. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების მიზნით, ესთეტიკის კათედრის მიერ (მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების) ხდება ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმების შემუშავება, არაფორმალური მიმართულებით საინტერესო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება როგორც სასკოლო, ასევე რაიონის მასშტაბით, კათედრამ მრვალფეროვანი მტკიცებულებების წარმოდგენით დაადასტურა სასწავლო მასალის კავშირი მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. ფართო ასპარეზის საშუალება მისცა მოსწავლის პიროვნული მოქმედების არეალს. მასწავლებლების მიერ ხდება ისეთი შემაჯამებელი დავალებების/კომპლექსური დავალებები შემუშავება, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





უზრუნველყოფენ მოსწავლის ცოდნის ორგანიზებას და უკვე არსებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო- სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საგნობრივი კურიკულუმენი VII-IX კლასები
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები
- კათედრების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი
- პროექტები
- კლუბური მუშაობის ამსახველი მასალა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მასწავლებლის პორტფოლიო
- აკადემიური მოსწრების და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- ანგარიშები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- ვიზუალური დათვალიერება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 სკოლის საბაზო საფეხურის კათედრებს გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი, მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული სიღმისეული სწავლის მიდგომები, იქ სადაც კომპლექსური ბუნების დავალების იდეა განსაზღვრება, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, მიზნისკენ სვლა ხდება ქვეცნებების საშუალებით. შესაბამისად გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს (რესურსები) და სწავლის მექანიზმს შორის, თვალსაჩინოა რომ სწავლა სწავლების პროცესში მთავარ ორიენტირს წარმოადგენს მიზნობრივი, გააზრებული და გაცნობიერებული აქტივობები, რასაც ადასტურებს მასწავლებელთა მხრიდან დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და შესატყვისი შეფასების რუბრიკები, სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებსა და შემაჯამებელი დავალებებში ჩამოყალიბებულია სწავლების მიზნები, ის თუ რა შედეგზე უნდა გავიდეს თითოეული მოსწავლე, ამასთანავე, განსაზღვრულია სწავლების რესურსები და სწავლების მექანიზმები.

კურიკულუმების ჩარჩოს პროექტის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად; აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სსიპ ქ. სენაკის N7 სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, რომელიც მოიცავს განვლილი სასწავლო წლის რეფლექსიის დოკუმენტებს, ამავე დროს მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულუმებით დგინდება, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში საკითხები იმგვარად არის შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს, როგორებიცაა, მაგალითად ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაკვირვება, რის შედეგადაც მოსწავლეებში ვითარდება კრიტიკული აზროვნება. კონტექსტები ემსახურება მოსწავლის სხვადასხვა მიმართულებით განვითარებას, პირველ რიგში ხდება მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარება, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენი „სადამრიგებლო საათი“ ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სწავლა რეალურად არის მოსწავლის პიროვნული ზრდის და განვითარების უწყვეტი პროცესი, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციალური - ემოციური სფეროს განვითარებაზეც. სკოლის მოსწავლეების გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემის გადაჭრის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სააზროვნო, სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს მათი ჩართულობა სხვადასხვა კლუბებში. ისინი აქტიურად მუშაობენ პროექტებზე, სადაც ახორციელებენ საინტერესო, შემეცნებით მამიებლურ სასწავლო დავალებებს. მნიშვნელოვანი ძალისხმევა ხმარდება დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები სხვადასხვა მიმართულებით. ეკო კლუბი „მწვანე სიცოცხლე“, ინტელექტუალური კლუბი „ერუდიტები“ სამოქალაქო კლუბი „უკეთესი მერმისისათვის“, ლიტერატურული კლუბი „ოდოჟდერი“, წრე „ნორჩი ფიზიკოსები“, ისტორიის წრე „ისტორიანნი და აზმანნი“. აღსანიშნავია რაიონულ პროექტებში სკოლის მოსწავლეთა ჩართულობა, კერძოდ „ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს“-პროექტში მონაწილეობდნენ მე-6 - მე-10 კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები. ასევე, სსსმ მოსწავლე (მე-7 კლასი) კალეგრაფიის კონკურსის გამარჯვებისთვის დაჯილდოვდა სიგელითა და „ვეფხისტყაოსნით“. განხორციელდა სასკოლო ღონისძიებები- „თავისუფლება ღმერთს ხვედრია“; „მამ, გაუმარჯოს სიკვდილშიაც არდავიწყებას“- ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, „თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი“, კათედრათაშორისი თანამშრომლობა-საქველმოქმედო აქცია „სიკეთე გადამდებია“ და სხვა.

სკოლამ პროექტში „აწარმოე ქართული“ მოიპოვა გრანტი სადაც მოსწავლეები მუშაობდნენ ტრადიციული მეთოდით თექის დამუშავებაზე, მოხდა მოსწავლეების შექმნილი ნამუშევრების გამოფენა მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში. ამ და მსგავსი აქტივობებით სწავლობს მოსწავლე გუნდურ მუშაობას, თანამშრომლობით კულტურას, საკუთარი ქცევების, ემოციების და კონფლიქტური სიტუაციების მართვას. სასკოლო კურიკულუმის კომპლექსური ბუნების დავალების იდეებად შერჩეულია აქტუალური საკითხები, რომელიც მიმართულია არა მხოლოდ მოსწავლეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოცო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლები 2023-2024 სასწავლო წლიდან აქტიურად გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან და ინტერვიუებიდან. სკოლას წარმოდგენილი აქვს, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სოლო ტაქსონომია, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მასწავლებლები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას. მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სოციალური მდგომარეობა, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლის პიროვნული განვითარებისათვის შეფასება უნდა ატარებდეს ჰოლისტურ ხასიათს, რათა წარმოჩინდეს ბავშვის ემოციურ-სოციალურ-კოგნიტური განვითარება. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩიკაძე

ნ. ჭიჭიძე დ. ფიქი



სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე ფოკუსირებული დაკვირვების ინსტრუმენტები : ზოგადი (სასწავლო გარემო, კლასის მართვა, სასწავლო რესურსები, კომუნიკაცია, ინსტრუქციები, სწავლის სტრატეგიები, ჩართულობა, შეფასება) განმავითარებელი შეფასებების ინსტრუმენტების გამოყენების თვალსაზრისით, კონსტრუქციული უკუკავშირი, დიფერენცირება, სოცო-ემოციური კომპეტენციების დანერგვა, სსსმ მოსწავლეების ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში. სკოლა იცნობს შედეგების მიღწევის ხუთ დონეს ცოდნის კონსტრუირების საფეხურებს დეკლარატიულიდან პირობისეულ ცოდნამდე, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, განმავითარებელი შეფასება ჰოლისტური შეფასების მექანიზმად შეფასების სახით გვთავაზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას და სწავლა-სწავლების პროცესში წარმოადგენს მეთოდოლოგიური ორიენტირების რეალიზების საშუალებას, ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის მიხედვით, იგეგმება სასწავლო წლის მანძილზე ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლის მიღწევების შესახებ ჰოლისტურ შეფასების განთავსება, სადაც გათვალისწინებულ იქნება- ცოდნის დონე ცნებების მიხედვით, სამინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობა, თანამშრომლობა კლასის/სკოლის ფარგლებში, პრეზენტაციის უნარი). მნიშვნელოვანია შეფასების დროს აქცენტი კეთდებოდეს არ მარტო მოსწავლის საგნობრივ ცოდნაზე, არამედ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობაზე. რასაც წარმოადგენს კურიკულუმებში დაგეგმილი აქტივობები, პროექტის მომზადება, პრეზენტაცია, შესწავლილი საკითხების წარმოჩენა გულისხმობს. სკოლის მიერ წარმოდენილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერა; აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლა შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში საუბრობს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების ხელშეწყობაზე. ასევე სკოლაში არსებული სკოლაში არსებული ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქციის დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობას და სამართლიანობას; მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; მოსწავლეები იცნობენ, რა მექანიზმებით ხდება მათი შეფასება, საკლასო ოთახების სივრცე თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მრავალფეროვანი დატვირთვის შეფასების რუბრიკებს. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიექტურობა სანდოობის მაღალი ხარისხს ქმნის. შეფასების დროს იყენებენ დაბალანსებულ, პოზიტიურ უკუკავშირს, ბავშვის შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინებით. დაგეგმვის პროცესის მექანიკურობის გამოსარიცხად, სკოლა ითვალისწინებს შემდეგ რეკომენდაციებს: სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობა ყველა საკითხში-ამოცანების დასახვიდან დაწყებული, შედეგების ანალიზით დამთავრებული; ერთიანი მიზნის ჩამოყალიბება და ამ მიზნისკენ სწრაფვა; მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ სწავლებისა და განვითარების პროცესების მიზნებისა და შედეგების გაცნობიერება; თითოეული პიროვნების უფლებებისა და საჭიროებების გათვალისწინება. შეფასების ანალიზის და რეფლექსიის შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, მოსწავლის აკადემიური შეფასების ანალიზის საფუძველზე მასწავლებლები გასცემენ წერილობით რეკომენდაციას. სკოლის ელექტრონული ჟურნალი იძლევა იმის საშუალებას, რომ მშობლებს ჰქონდეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წვდომა შვილების აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით, ასევე მასწავლებლები მშობლებთან კომუნიკაციის საფუძველზე ახდენენ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვის გადახედვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა საბაზო საფეხურზე, შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას, ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. სკოლას აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქციის დოკუმენტი, რომლის მიხედვით ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებებით:

- შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრები აქტიურად არიან ჩართული ამავე პროცესში; საგნის მასწავლებლები ახორციელებენ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობას. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი - უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის ვერიფიკაციას;

კათედრის სამუშაო შეხვედრებზე განიხილება კომპლექსური დავალებები, აქტივობების შეფასების რუბრიკები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასების რუბრიკებს, რომლებიც თვითონ შეიმუშავეს და დანერგეს პრაქტიკაში. მასწავლებლები კომპლექსური დავალების დასრულების შემდეგ აკეთებენ კომპლექსური დავალებების აქტივობების შეფასებას.

დირექცია და ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდებიან სხვადასხვა დავალების შეფასების მექანიზმს. კეთდება ანალიზი, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული შეფასების რუბრიკებით მოსწავლემ შეძლოს შედეგების გაუმჯობესება და გრძელვადიან მიზნებზე გასვლა. ამასთანავე მასწავლებლებს აქვთ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვის შესაძლებლობა მოსწავლეთა საჭიროებებისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით.

იგეგმება მიმდინარე წელს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარება პირველი ინსტრუმენტით, წელიწადში ორჯერ და აქვთ მზაობა კიდევ მეტად დახვეწონ არსებული შეფასების სისტემა.









სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებით და საბაზო საფეხურზე სემესტრში ერთხელ ჩატარდება საგნობრივი/ინტეგრირებული სადიაგნოსტიკო ტესტირებები ელექტრონული/მატერიალური ფორმით.

სსსმ მოსწავლეთათვის შეიქმნება ადაპტირებული სადიაგნოსტიკო ტესტები იგივე ფორმატით.

მასწავლებლები წელიწადში სამჯერ ელექტრონულ ჟურნალში ათავსებენ ინდივიდუალურად მოსწავლის მიღწევების შესახებ ჰოლისტურ შეფასებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სადაც უნდა იყოს გათვალისწინებული: ცოდნის დონე ცნებების მიხედვით, საშინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობა, თანამშრომლობა კლასის/სკოლის ფარგლებში, პრეზენტაციის უნარი). მშობელი ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ეცნობა მასწავლებლის მიერ გაცემულ უკუკავშირს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.2.2.5 რჩევა; სასურველია სკოლამ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გახადოს მეტად კონკრეტული, კერძოდ დოკუმენტში ასახოს კონკრეტული ნაბიჯები, პროცედურები და ინსტრუმენტები, რომლითაც განახორციელებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასებების აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადებში. სკოლის მასწავლებლები დირექტორის მოადგილეს წარუდგენენ ანგარიშებს; ელექტრონულ ჟურნალში ათავსებენ ინდივიდუალურად მოსწავლის მიღწევების შესახებ ჰოლისტურ შეფასებას, სადაც უნდა იყოს გათვალისწინებული: ცოდნის დონე ცნებების მიხედვით, საშინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობა. მშობელი ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ან პირისპირ შეხვედრაზე ეცნობა მასწავლებლის მიერ გაცემულ უკუკავშირს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ






2.2.2.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია


კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სსიპ სენაკის N7 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N-4
- სსიპ ქ. სენაკის N 7 საჯარო სკოლის ანგარიში 2022-23 სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ .
- საგნობრივი კურიკულუმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქციის დოკუმენტი
- კათედრების ანგარიშები.
- განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სამუშაო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნ. ქიქოძე, დ. ფიქი
 



- შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე.
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების ანალიზის ფორმა
- მასწავლებლის პორტფოლიო
- მასწავლებლის უკუკავშირი
- ანგარიშები
- მოსწავლეთა შესრულებული დავალების ნიმუშები
- საკლასო და სასკოლო პროექტები
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა
- სკოლის კლუბების წესდება და განხორციელებული პროექტები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო;

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმდებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. მასწავლებლები კატედრის შეხვედრებზე და სამუშაო შეხვედრებზე განიხილავენ სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვისათვის და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად განსახორციელებელ აქტივობებს. კერძოდ, შეიმუშავებენ ერთობლივად კომპლექსურ დავალებებს, სადაც ითვალისწინებენ წინარე ცოდნის გამოცდილებას, დიფერენცირებულ მიდგომებსა და მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. კათედრის სამუშაო გეგმაში გაწერილია მასწავლებლის მიერ ჩასატარებელი სამი სავალდებულო და ერთი თანაგაზიარების გაკვეთილი, რომელიც შემდეგაც ხდება გაანალიზება; დადებითი და სუსტი მხარეების წარმოჩენა, რეკომენდაციების შემუშავება. აქტიურად არის დანერგილი „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. კათედრათაშორის თანამშრომლობის მაგალითია ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; განხორციელებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიდგომას დადებითი გამოხმაურება აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.3.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო; უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი, როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. მასწავლებლები ქმნიან გაკვეთილებზე ისეთ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია აზრის გამოთქმა და მის შეხედულებებს პატივისცემით ეპყრობიან. საკლასო გარემოს შესაქმნელად საბაზო კლასებში ოთახები გაფორმებულია მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით, სასწავლო მასალებით, ხშირად გამოფენილია მოსწავლეთა ნაშრომებიც. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში, სპორტულსა, შემეცნებით თუ შემოქმედებით პროექტებში, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე და დასტურდება არაერთი წამატების სიგელითა თუ პრიზით.

მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად მუშაობს სკოლაში პოზიტიური გარემოს შექმნისათვის და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს. სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მონაწილეობით შექმნილია „თანამშრომლობის საბჭო“- ცოდნით ვაშენოთ მომავალი“ , რომლის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექცია, კლასის დამრიგებლები, საბაზო და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის წევრები და თემის წარმომადგენელი. საბჭოს მისიაა -იზრუნოს სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებების ჩამოყალიბებას, იზრუნოს სკოლის შენობის და ეზოს მოვლა-პატრონობაზე, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ჩართულობას გარემოსდაცვით, მასობრივ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ პროექტებში. სკოლა ამკვიდრებს გაზიარებული ლიდერობის ტრადიციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია






დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკოლო სასწავლო გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის დირექტორის 20.12.2022 წლის ბრძანება N1-138 პედაგოგის წახალისების შესახებ
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმა
- VII, VIII, IX კლასების საგნობრივი კურიკულუმები
- განხორციელებული კონფერენციების დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





- სკოლის თვითმმართველობის სამუშაო გეგმა
- თანამშრომლობის საბჭოს დოკუმენტი“ ცოდნით ვაშენოთ მომავალი“
- პროექტები
- საკოლო და საკლასო ღონისძიებები
- ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად:

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);
3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). მეთოდოლოგიაში გაწერილია პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და აქტივობის განხორციელების ვადები სკოლას გაწერილი აქვს ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაშიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლის ყველა პედაგოგს გააზრებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა, რადგან იგი ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობას და მიმართულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებისა და მასწავლებლების მხარდაჭერისაკენ. სკოლის დოკუმენტაციაში მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, კურიკულუმის განხორციელების პროცესში პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.3.1.2. რჩევა: კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, კურიკულუმის განხორციელების პროცესში პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

123



ასევე ინტერვიუების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ ვინაიდან სასწავლო პროცესი დინამიური ხასიათისაა, რა თქმა უნდა თავს იჩენს გარკვეული პრობლემები. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების გზა, პირველ რიგში ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარეების, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად დაგეგმავენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდეს კათედრის ოქმებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- მასწავლებელთა ინტერვიუ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:

საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აფასებენ კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც. ამასთან ერთად, ცდილობენ, გამოიყენონ მრავალფეროვანი წყაროები. სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, რომლებიც უკავშირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაკვეთილზე ჩართულობას, პრეზენტაციას, დისკუსიას, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. ასევე, წარმოდგინეს ჯგუფური მუშაობის რუბრიკა, პრეზენტაციის თვითშეფასების ცხრილი. რაც შეეხება „მოსწავლეების საკლასო მუშაობის შეფასებისა“ და „ლაპარაკის თვითშეფასების კითხვარს“, ვფიქრობთ, დასახვეწია და გადახედვას საჭიროებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია

რჩევა:სასურველია, სკოლამ მეტად დახვეწოს შეფასების რუბრიკები და შეიმუშაოს ისინი კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაშიც.

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით:



სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აკმაყოფილებს საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. გარდა ამისა, შეფასების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტს, რომელიც აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და მასწავლებლებს აძლევს შესაძლებლობას მოსწავლის პერსპექტივიდან დაინახოს მოვლენები და შემდგომი ინტერვენციებისათვის გაითვალისწინოს მათი უკუკავშირი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სკოლის გუნდი, კათედრების მიხედვით იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, ერთობლივად მსჯელობენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, შემდეგ კი დამრიგებლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან ერთად ცდილობენ გასაუმჯობესებელი მხარეების გაუმჯობესებას. საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ახდენენ შემაჯამებლებისა და კომპლექსური დავალებების ანალიზს, ასევე მოსწავლეთა აკადემიური შეფასების ანალიზს, რაც კიდევ ერთი კომპონენტია იმისათვის, რომ შეფასების დროს გათვალისწინებული იყოს მრავალი კონტექსტი.

სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის წინაპირობასა და ფაქტორებზე დაყრდნობით, რაც დაეხმარება მოსწავლის მრავალი კუთხით იდენტიფიცირებაში, მისი უნარების გამოვლენაში, რაც მისცემს უფრო ეფექტურად და მოსწავლის შესაძლებლობებზე დაყრდნობით სასწავლო პროცესის დაგეგმვის საშუალებას. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს ჰოლისტური შეფასების სქემის დახვეწას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები:

მასწავლებელთა ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, მოსწავლეთა შეფასებისას სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში საბაზო საფეხურზე გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი, გასასვლელი ბარათი და ა.შ. შეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩიკაძე

ნ. ჭიჭიკაძე დ. ფიქია
ნ. ჭიჭიკაძე დ. ფიქია



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქციის დოკუმენტი
- შემაჯამებელი დავალების შეფასების ანალიზი
- მოსწავლის აკადემიური შეფასების ანალიზი
- მასწავლებელთა ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად დებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდაჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. საგნობრივი კათედრები კურიკულუმებზე მუშაობისას აანალიზებენ, როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა პროცესები უწყობდა ხელს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, როგორი იყო მშობლებთან კომუნიკაცია. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ და უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. სკოლის დირექცია ახდენს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო საზოგადოების წევრები რეკომენდაციებს მიაწვდიან საგნობრივ კათედრებს, სადაც გაითვალისწინებენ გამოცდილებას, ჩატარებული კომპლექსური დავალებების რეფლექსიებს ახალი კურიკულუმის შედგენისას. სკოლა გამოხატავს მზაობას იმუშაოს **კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შექმნაზე**. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრები გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგის შედეგებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნა კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად კურიკულუმები შექმნილია არსებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია ხარვეზები და წარმატებული პრაქტიკა. შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი უზრუნველყოფს მომდევნო წელს საგნობრივი კურიკულუმები იყოს უფრო დახვეწილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და მასში გათვალისწინებული იყოს მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის შედეგები და შესაბამისი ცვლილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- VII; VIII; IX კლასების საგნობრივი კურიკულუმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხ. ქიქოძე, მ. ყიფიანი



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ჯავახიძე ი. ხორიძე ნ. სეიფიძე

ნ. ჯაფარიძე დ. ფოქიძე
ნ. ჯაფარიძე დ. ფოქიძე



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ. ჯიქიაშვილი



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტული საკითხებს. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის ყველა საგნის პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მასწავლებლებთან სამივე საფეხურზე. კათედრის წევრებს შორის, მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაწილდება ფუნქციები, რაც მიზნად ისახავს კურიკულუმის შემუშავებისას ყველას ჩართულობას, მათი შეხედულებების გათვალისწინებას, კათედრებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის გაღრმავებას. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი თანხმდება თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მასწავლებლის რეფლექსია ჩატარებული გაკვეთილზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.1.1.1. რჩევა: სასურველი, სკოლამ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია გახადოს მეტად კონკრეტული და მოქნილი დოკუმენტი, განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებითაც მოახდენენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების კვლევას (მაგ: ფოკუს ჯგუფი, კითხვარი, რეფლექსია და სხვა).

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები:

საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლებიც ეფუძნება მოსწავლეთა მიერ მიღწეულ შედეგებს, მათ უკუკავშირს, გადაწყვეტილებების მიღებისას გათვალისწინებულია მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაცია. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კურკულუმის შემუშავებისას აანალიზებენ საშუალო საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, რასაც მოწმობს კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმების ნიმუშებიც. გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციასაც. მშობელთა გამოკითხვა დანერგილია სკოლაში იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის პროცესს, სკოლის ადმინისტრაცია ზრუნავს თანამშრომელთა პრიორიტეტების გათვალისწინებზე. შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების, დაკვირვებებისა და მიგნებებიდან გამომდინარე, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი სასკოლო საზოგადოების ინტერესებზეა ორიენტირებული.

2.1.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია



3.კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ:

სასკოლო საზოგადოება მთლიანად არის ჩართული კურიკულუმების შემუშავების პროცესში. თვალსაჩინოა კათედრათაშორისი ურთიერთობები სამივე საფეხურზე. როგორც ინტერვიუსას მასწავლებლებმა განაცხადეს, კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით კათედრის წევრების შეხვედრისას დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, კათედრაზე ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმების შემუშავების პროცესში მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობასაც, რაც გაწერილია „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში“.

2.1.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4.კურიკულუმში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ , რაც კარგად ჩანს კურიკულუმებში გაწერილ საკითხთა ურთიერთმიმართებაში, ასევე , იმ აქტივობებში,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეიფიძე

ნ. ჯიქია დ. ფიქია
ნ. ჯიქია დ. ფიქია



რომლებსაც ერთობლივად ახორციელებენ. ამის დასტურია სასკოლო ღონისძიებები, რომლებიც ასახულია სკოლის სოციალურ გვერდზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების გაზიარებაზე ზრუნავენ არა მარტო კათედრების სხვადასხვა საფეხურზე, არამედ მთლიანად სასკოლო საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას. ეს ხდება პედაგოგიური საბჭოს კრებებსა და მშობელთა კრებებზე, მშობლებთან ინტენსიური კომუნიკაციის გზით. როგორც „კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში“ აღნიშნული, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, პორტალი ვებგვერდზე, სოციალური მედია და ბეჭდვითი მასალები, თუმცა მტკიცებულებების სახით დოკუმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია.

2.1.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.1.1.4 რჩევა: საზოგადოებრივი მეცნიერებები: სკოლას ვურჩევდი, რომ გაზარდოს მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში, მოახდინოს პასუხისმგებლობის დელეგირება/გადანაწილება (მაგ: მშობელთა სამუშაო ჯგუფების შექმნა, მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერება) იმისათვის, რომ კურიკულუმი იყოს საერთო შემოქმედებითი პროდუქტი.

დასტურდება (მტკიცებულებები) :

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურზე
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- კათედრების ოქმები.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.
- სკოლის სოციალური გვერდი
- გაკვეთილის რეფლექსია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, მათში წარმოდგენილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკს, ინტერესებსა და წინარე ცოდნას, შესაბამისად, სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების ანალიზისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გეგმავენ ერთობლივად გაკვეთილებს და ითვალისწინებენ ერთმანეთის უკუკავშირის იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი იყოს მაქსიმალურად მოსწავლეზე ორიენტირებული. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს ასევე ადასტურებს სასკოლო პროექტები და კლუბური აქტივობები, რომლებიც სკოლის საშუალო საფეხურზე აქტიურად ხორციელდება (მაგალითად: კლუბი „უკეთესი მერმისისაკენ“).

2.1.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები):

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ დადგინდა, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. მოსწავლეებში გლობალური და ფუნქციური უნარების განვითარებას ხელს უწყობს შერჩეული კომპლექსური დავალების იდეები, რომლებშიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ასაკი. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ისინი აქტიურად იყენებენ სასკოლო პროექტებსა და კლუბურ სამუშაოებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მრავალმხრივი უნარების განვითარებას, იქნება ეს თანატოლებთან თანამშრომლობა, დირექციასთან, სხვადასხვა ორგანიზაციასთან თუ სხვა. მოსწავლეთა ფუნქციურ კომპონენტური უნარების განვითარებაზე ზრუნვის ერთერთი მაგალითია სკოლის მიერ პროექტის “ უკეთ გავიცნოთ საქართველო” ფარგლებში დაგეგმილი და განხორციელებული მიზნობრივი ექსკურსია სადაც მოსწავლეებმა მათემატიკაში ნასწავლი მასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაუკავშირეს ლოკაციის ადგილებს: ა) მდინარის სხვადასხვა მხარეს მდებარე ორ ობიექტს შორის მანძილის გაზომვა ბ) მდინარის სიგანის პოვნა გ) ტბის მეორე მხარეს მდებარე წერტილამდე მანძილის გაზომვა დ) ტრანსპორტისათვის საჭირო ხარჯების დადგენა. (დოკუმენტებში წარმოდგენილი აქვთ აქტივობების ამსახველი ფოტო მასალა). სკოლა გამოირჩევა ასეთი ტიპის მუშაობით, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სკოლის აუდიტორიებსა თუ დერეფნებში გამოფენილი ვიზუალური მასალა.

2.1.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს:

სასწავლო პროცესში ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების გათვალისწინება იძლევა დიფერენცირებული/ინკლუზიური გარემოს ფორმირების შესაძლებლობას, სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, კურიკულუმის ჩარჩოებში ასახულია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. გარდა ამისა სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, მონიტორინგისა და შეფასების, მიღებული შედეგების ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სასკოლო საზოგადოება ზრუნავს სკოლაში დიფერენცირებული/ინკლუზიური გარემოს ფორმირებაზე. (აღნიშნული დოკუმენტაცია საჭიროებს დაზუსტებას, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რჩევა/რეკომენდაცია). გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი კლუბური აქტივობებით, სასკოლო პროექტებითა და არაფორმალური განათლებით ცდილობენ სკოლაში დიფერენცირებული/ინკლუზიური გარემოს ფორმირების ხელშეწყობას, მათ აღნიშნეს, რომ ასეთი ტიპის სამუშაოები მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი თავის აღმოჩენასა და ინდივიდუალური საჭიროებების განვითარებაში. მასწავლებლებმა ისაუბრეს იმაზეც, რომ ისინი ხშირად სთავაზობენ მოსწავლეებს პროექტისათვის თემის არჩევის საშუალებას, აძლევენ კომპლექსური დავალების პროდუქტის არჩევის საშუალებასა თუ სთავაზობენ სხვა ტიპის აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ სწავლებას.

2.1.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.1.2.3 რჩევა: სასურველია, სკოლამ დააკონკრეტოს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების ინსტრუმენტები, ვინ და რა პერიოდულობით, რა საშუალებებით განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, დააკონკრეტოს კრიტერიუმები, რომლითაც განახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, რათა შერჩეული ინსტრუმენტები/კრიტერიუმები მაქსიმალურად მოერგოს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.






4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტაციებს. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, მათში გათვალისწინებულია საგნის სტანდარტით განსაზღვრული

135

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. (საავტორიზაციო ვიზიტისათვის არ იყო წარმოდგენილი ყველა საგნის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, თითოეულ თემასთან მიმართებით, თუმცა, სკოლის გუნდს აქვს აღნიშნულის განხორციელების მზაობა და კომპეტენცია. ამასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა/რეკომენდაცია). მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, შეფასების პროცესში ითვალისწინებენ ერთმანეთის უკუკავშირს, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტს, ახდენენ შემაჯამებლებისა და კომპლექსური დავალებების ანალიზს, როგორც ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, კათედრის წევრები იკრიბებიან ყოველი სემესტრის ბოლოს და ერთობლივად განიხილავენ მოსწავლეთა შეფასების შედეგად გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, რისი გათვალისწინებითაც გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს.



2.1.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის/მტკიცებულებების ანალიზისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ დადგინდა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღნიშნავენ, რომ სკოლა ვალდებულია ახალი კურიკულუმის შექმნამდე შეაფასოს წინა წლის შედეგები და მათი გათვალისწინებით შექმნას ახალი კურიკულუმი. თუმცა, აღნიშნული მეთოდოლოგია არის ზოგადი და საჭიროებს დაზუსტებას, სკოლამ უნდა დააკონკრეტოს ის გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს იმის გაგებას მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და აქვს თუ არა მიმდინარე პროცესებს შესაბამისი ეფექტი. წინარე გამოცდილების ანალიზისათვის სკოლა იყენებს ურთიერთდასწრების კომპონენტს, მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, შემდეგ კი ერთობლივად განიხილავენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, რასაც ითვალისწინებენ შემდგომი დაგეგმვის პროცესში. აღნიშნულ პროცესებში აქტიურად მონაწილეობს სკოლის დირექცია, რომელიც თავისმხრივ აძლევს მასწავლებლებს კონსტრუქციულ უკუკავშირს. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ ისინი ყოველი სემესტრის ბოლოს იკრიბებიან და განიხილავენ მოსწავლეთა შეფასების შედეგებს, რასაც ითვალისწინებენ შემდგომი დაგეგმვის ეტაპზე, ასევე, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს, ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების კომპონენტის გამოყენებით, მშობელთა კრებების გამოყენებით ითვალისწინებენ მშობელთა ინტერესებს, აღნიშნულიდან გამომდინარე სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას.


2.1.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.1.2.5 რჩევა: სკოლას ვურჩევდით, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია გახადოს მეტად კონკრეტული, კერძოდ, მასში აღწეროს ის გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს მონიტორინგსა და შეფასებას, დაადგენს მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და როგორ/რა ეფექტით მიმდინარეობს დაგეგმილი პროცესები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებლის რეფლექსია;
- მათემატიკის კათედრის მიერ განხორციელებული პროექტები
- ვიზიტის შემდეგ დამატებული დოკუმენტაცია - კლუბის ლინკი „უკეთესი მერმისისაკენ“
- ინტეგრირებული გაკვეთილი;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის წესის დამტკიცება;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეიხვაძე

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კათედრები საშუალო საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროცესები მიაღწევენ გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე რაც განაპირობებს მოსწავლეების ჩართულობას შემოქმედებით პროცესში. უცხო ენის კათედრამ ასევე შეძლო ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმი გაეწერათ მე -11 კლასშიც ,სადაც გრიფირებული სახელმძღვანელო ახალი შემოსულია. კურიკულუმში დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა შესაძლებლობისა და ინტერესებიდან გამომდინარეა მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას იაზროვნოს , კლასში ნასწავლი ცოდნა ცხოვრებისეულ კონტექსტებში გადაიყვანოს და კლასის წინაშე წარადგინოს რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის განხილვისას, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებისას დასტურდება, რომ ასეთი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეებს აქტიურად იყვნენ ჩართული სასწავლო პროცესში. მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას ხელს უწყობს ასევე სკოლაში არაფორმალურ განათლებას, სოციალური თუ სხვადასხვა პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს შესაძლებლობას. მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას ეს პროცესი უფრო აქტიურად წარიმართოს მომავალშიც. უცხო ენის კათედრამ განახორციელა პროექტები: „პელოუინის დღე“ „კვითხულობთ შექსპირს“ და „დედამიწა ჩვენი სახლია“ , რომლებიც ნამდვილად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

2.2.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია


2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

საშუალო საფეხურზე ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კერძოდ, წარმოდგენილი კურიკულუმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





დაგეგმილია თემატურად, შესასწავლი საკითხების თანმიმდევრობა, მასალის ორგანიზება კომპლექსური ბუნების დავალებების საფუძველზე, ნაცნობ კონტექსტებზე და მათთან დაკვიშირებულ შედარების მაგალითებზე დაყრდნობით იძლევა წინარე ცოდნის გააქტიურების და ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. უცხო ენაში წარმოდგენილი კურიკულუმები აგრებულია თემატური თანმიმდევრობით კომპლექსური დავალებები კი ეფუძნება ქარმოდგენივ კონტექსტ მაგალითებს და მაგალითებს შედარებისთვის ეს ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას და მათ გააქტიურებას უწყობს ხელს , ახდენს ცოდნის თანმიმდევრულ კონსტრუირებას და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. უცხო ენის VII -IX კლასების კურიკულუმები

2.2.1.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე:

- საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმში ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არა მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე - იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. ეცხო ენის კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად ეს მოცემულობა დაზუსტდა და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას გააზრებული აქვს და პროცესს წარმართავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.2.1.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული):

საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). უცხო ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმში გაწერილია კომპლექსური დავალებები, რომლების ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე X_{XII} კლასის კურიკულუმის ჩარჩოები, კომპლექსური დავალების განხორციელება მოსწავლეს აძლევს ბიძგს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურების. მოსწავლე უცხო ენაში დაგროვილი ლექსიკურ თუ გრამატიკულ ცოდნას იყენებს ყოველდღიურ საგაკვეთილო სავარჯიშოებსა და აქტივობებში, შემდეგ კი საკუთარ ცოდნას ასახავს კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტში მისთვის ნაცნობ, რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებში და აკეთებს ნაშრომის პრეზენტაციას საფეხურზე

სკოლა საშუალო საფეხურზე, ახორციელებს პროექტებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც ფაქტობრივ, ასევე პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე, მოწოდებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებშიც გათვალისწინებულია ცოდნის სამივე კატეგორია. შეფასების რუბრიკების გაცნობისას შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებული შეფასების სისტემა არის ვალიდური - საგნობრივ სტანდარტებთან და მიზნებთან შესაბამისი; სანდო - შემუშავებულია მკაფიო ინსტრუქციები, შეკითხვები, ზუსტად შერჩეული გასაზომი კრიტერიუმები; სამართლიანი - შეფასება არ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არის დამოკიდებული შემფასებლის პიროვნულ დამოკიდებულებებზე, არამედ დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე, სქემაზე და ინსტრუმენტებზე, შეუძლებელია ერთი და იგივე ნაშრომი სხვადასხვაგვარად შეაფასდეს; გამჭირვალე - მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ და ერთობლივად შეიმუშავენ თუ რა კრიტერიუმებით, რა ინსტრუმენტებით უნდა შეფასდეს მათი ნაშრომი. იგივე დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს.

2.2.1.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, რათა სხვადასხვა საგანში შეძენილი ცოდნა წარემართათ ერთი მიმართულებით, ახლა, როდესაც კათედრამ გადაწყვიტა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს სწავლა-სწავლების პროცესი ააგოს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებით, რომლის ორგანიზება გაცილებით უფრო მარტივი იქნება, რადგანაც, როგორც მასწავლებლები აღნიშნავენ, დავალების პირობის მიხედვით პროდუქტის მოსამზადებლად მოსწავლეს სჭირდება სხვადასხვა ცოდნის გამოყენება. საშუალო საფეხურის ყველა კათედრის მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ კათედრაზე არსებობს ინტეგრირებულ დავალებაზე მუშაობის გამოცდილება და თითქმის ყველა კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მიემართება საგანთაშორის ინტეგრირებისაკენ. -

2.2.1.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია







დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო- სასწავლო გეგმა
- სადამრიგებლო პროგრამები;
- საგნობრივი კურიკულუმენი X-XI კლასები
- ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები
- კათედრების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს ჩამონათვალი
- პროექტები
- კლუბური მუშაობის ამსახველი მასალა
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მასწავლებლის პორტფოლიო
- აკადემიური მოსწრების და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ანგარიშები
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- ვიზუალური დათვალიერება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;


საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს და შესაბამის რესურსებს (მასწავლებლის სახელმძღვანელოს) მუსიკასა და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. პროექტული სწავლების თანახმად სამუშაო პროცესში მოხდება შეთავაზებული მასალის არჩევა, შესაბამისად დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, აქვე ამოიცნობა კომპლექსური ბუნების, პროექტული დავალებების შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება, იდეების მრავალფეროვნება, კრეატიულობა, ჯგუფური მუშაობის და საპრეზენტაციო უნარები. ესთეტიკის კათედრის წარმოდგენილ მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებში ჩანს თემის კონტექსტი, სადაც მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და ხაზგასმულია რა უნდა შეძლოს მოსწავლემ, რა დაკვირვებას აწარმოებს მასწავლებელი- შუალედური და საბოლოო მონიტორინგისთვის ჩეკლისტის, დაკვირვების დღიურის, ჩანაწერების წარმოების პრაქტიკა. ასევე, სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში იკითხება რომ სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილზე ფოკუსირებული დაკვირვების ინსტრუმენტები ზოგადი (სასწავლო გარემო, კლასის მართვა, სასწავლო რესურსები, კომუნიკაცია, ინსტრუქციები, სწავლის სტრატეგიები, ჩართულობა, შეფასება)რომელიც შეიძლება

141

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





















განხორციელდეს როგორც მასწავლებლის პრაქტიკის კვლევის ფარგლებში, ასევე, მოსწავლეთა უკუკავშირისა და ანალიზის საშუალებით.

2.2.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პროფესიულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის მოსწავლეები გაერთიანებული არიან სხვადასხვა კლუბებში, სადაც ახორციელებენ საინტერესო, შემეცნებით სასწავლო პროექტებს. ისინი სწავლობენ გუნდურ მუშაობას, თანამშრომლობის კულტურას, საკუთარი ქცევების, ემოციების, და კონფლიქტური სიტუაციების მართვას. ამ ეტაპზე, სკოლაში მიმდინარეობის პროცესშია პროექტი „მეორადი ნარჩენების მართვა“, პროექტის განხორციელებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კომპლექსური დავალებები და სხვადასხვა აქტივობებით გაჯერებული გაკვეთილები, სკოლის მიერ გადმოგზავნილ მასალაში კათედრის მუშაობის მრავალი ნიმუშია წარმოდგენილი, რაც მოსწავლეებს ეხმარება, როგორც ცოდნის მიღებასა და რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში, ასევე პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში. მოსწავლეებში გუნდური მუშაობის წახალისება მეგობრული ურთიერთობების დამყარებას უწყობენ ხელს, რაც უზრუნველყოფს სტრესული და კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვას, განსხვავებული აზრის პატივისცემას და მიმდებლობას.

2.2.2.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

სკოლის მიერ შემუშავებულ ვერიფიკაციის დოკუმენტში იკითხება რომ, მასწავლებლები წელიწადში სამჯერ ელექტრონულ ჟურნალში ათავსებენ ინდივიდუალურად მოსწავლის მიღწევების შესახებ ჰოლისტურ შეფასებას, სადაც უნდა იყოს გათვალისწინებული: ცოდნის დონე ცნებების მიხედვით, საშინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობა, თანამშრომლობა კლასის/სკოლის ფარგლებში, პრეზენტაციის უნარი) პედაგოგებთან გასაუბრებისას ნათელია რომ, სასკოლო კურიკულუმი და შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რაც ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნულ სასაწვლო გეგმას. ესთეტიკური საგნების კურიკულუმით დაგეგმილი სწავლებისას კათედრას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ, პროცესის მიმდინარეობა. შესაბამისად განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებიდან იყენებენ სიტყვიერ კომენტარს, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს, საკუთარ თავს;







2.2.2.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუს მიხედვით თვასაჩინოა თუ რა სტრატეგია უწყობს ხელს საზოგადოების მხრიდან შეფასების სისტემის აღქმა გააზრებას -სკოლის შვიდ წლიან სტრატეგიულ გეგმაში პირველ მიმართულებად ხაზგასმულია სკოლაში სწავლა სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა. მოსწავლეთა პროგრესზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების სისტემის დანერგვა; სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების მუდმივი შეფასების უზრუნველყოფა მათი გაუმჯობესების მიზნით, რაც თავის მხრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:





შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის წესს და პროცედურის ვალდებულებას, შეფასების შედეგებზე მოსწავლეთა ინფორმირების სისტემას ადგენს, რომელიც მოცემულია სკოლის მიერ მოწოდებულ ვერიფიკაციის მექანიზმსა და მოსწავლის შეფასების ინსტრუქციაში.

2.2.2.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.2.2.4 რჩევა; ესთეტიკის კათედრა სასურველია მასწავლებლის ფასილიტაციის და აქტიური მონიტორინგის შედეგები კონკრეტულად აისახოს პროექტის შეფასების რუბრიკებში, მეტი ობიექტურობის და სანდოობის ხარისხის გაზრდის მიზნით.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა, საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემის მექანიზმების განსაზღვრისას, ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შეფასების სისტემას. შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია, ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ შეფასების, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რომლებიც თვითონ შეიმუშავეს და დანერგეს პრაქტიკაში. დირექცია და ხარისხის განვითარების ჯგუფის წევრები გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდებიან სხვადასხვა დავალების შეფასების მექანიზმს. კეთდება ანალიზი, თუ რამდენად არის შესაძლებელი აღნიშნული შეფასების რუბრიკებით მოსწავლემ შეძლოს შედეგების გაუმჯობესება და გრძელვადიან მიზნებზე გასვლა, ამასთანავე მასწავლებლებს აქვთ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვის შესაძლებლობა მოსწავლეთა საჭიროებებისა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით.

იგეგმება მიმდინარე წელს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარება პირველი ინსტრუმენტით, წელიწადში ორჯერ და აქვთ მზაობა კიდევ მეტად დახვეწონ არსებული შეფასების სისტემა.

2.2.2.5. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.2.2.5 რჩევა; სასურველია, რომ სკოლამ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გახადოს მეტად კონკრეტული, კერძოდ დოკუმენტში ასახოს კონკრეტული ნაბიჯები, პროცედურები და ინსტრუმენტები, რომლითაც განახორციელებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლაში ინახება საშუალო საფეხურის მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება შეფასებების აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადებში. მასწავლებლები ელექტრონულ ჟურნალში ათავსებენ ინდივიდუალურად მოსწავლის მიღწევების შესახებ ჰოლისტურ შეფასებას, სადაც უნდა იყოს გათვალისწინებული: ცოდნის დონე ცნებების მიხედვით, საშინაო და საკლასო აქტივობებში ჩართულობა. მშობელი ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ეცნობა მასწავლებლის მიერ გაცემულ უკუკავშირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2.6. ინდიკატორი შესაბამისობაშია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
 - სასკოლო სასწავლო გეგმა.
 - ვერიფიკაციის მექანიზმი.
 - კათედრების ანგარიშები.
 - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას



1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო:

სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. დირექცია არის სასკოლო საზოგადოებიდან მომდინარე ინიციატივების აქტიური მხარდამჭერი და ორიენტირებული პრობლემების მოგვარებაზე. ის ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების იდეების მიმართ. მასწავლებლები ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და აკადემიურ წინსვლაზე. საშუალო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, მშობლებთან მუდმივად აქვთ კომუნიკაცია, ხოლო მოსწავლეთა ჩართულობით იღებენ გადაწყვეტილებებს. სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების დანერგვით, სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელებით.

2.2.3.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩიკაძე

ნ. ჭიჭიკაძე
ნ. სეჩიკაძე
ნ. სეჩიკაძე



2. სასწავლო პროცესი წარმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად:

საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომა. სასწავლო პროცესში მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების დანერგვით და მათში გაწერილი კომპლექსური დავალებებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართვას სასწავლო პროცესში და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე. ასევე, სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელებას. სასწავლო პროცესი იგეგმება და ხორციელდება დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. მასწავლებლები ორიენტირებული არიან შექმნან ეფექტური გარემო მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას, მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი ანხორციელებენ სადამრიგებლო სამუშაოებს, იყენებენ მშობლებთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლას ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, “კრიტიკული მეგობრის” როლის მორგებით, თანამშრომლობითა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით, თანამშრომლობისა და ღიაობის მაგალითს აძლევს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს. ინტერვიუების პროცესში აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ეცდებიან გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა, მეტად გაითვალისწინონ მოსწავლეთა საჭიროებები და ინტერესები, მათი ჩართულობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები სხვადასხვა მიმართულებით: ეკო კლუბი „მწვანე გარემო“, ინტელექტუალური კლუბი, სამოქალაქო კლუბი „უკეთესი მერმისისათვის“, ლიტერატურული კლუბი „ოდოჟლერი“, ფიზიკის წრე „ნორჩი ფიზიკოსები“, ისტორიის წრე „ისტორიანნი და აზმანნი“.

2.2.3.2. ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას:

ინტერვიუს დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია) და კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა კათედრებსა და კათედრათაშორისი აქტივობები, რაც მიუთითებს სკოლაში დამკვიდრებულ მაღალ თანამშრომლობით კულტურაზე. სასწავლო პროცესი ამ მიდგომით მიმდინარეობს. შექმნილია გარემო, სადაც პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, ანალიზებენ გამოცდილებას, ადგენენ საჭიროებებს, საუბრობენ წარმოქმნილ პრობლემებზე, შეიმუშავენ ერთობლივად რეკომენდაციებს. სკოლაში პრიორიტეტულია თანამშრომლობითი კულტურა და კომუნიკაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.2.3.3. ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასკოლო კლიმატი; არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო როგორც კლასის, ისე სკოლის დონეზე. საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან, სკოლის დირექციასთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვა. შესაბამისად ამ აქტივობებს ასახვევენ სამოქმედო გეგმაში, სადამრიგებლო პროგრამებში, საგნობრივ კურიკულუმებში. საშუალო საფეხურზე მასწავლებლები ქმნიან გაკვეთილებზე ისეთ გარემოს, რომელშიც მოსწავლეს თავისუფლად შეუძლია აზრის გამოთქმა და მის შეხედულებებს პატივისცემით ეპყრობიან. საკლასო გარემოს შესაქმნელად ოთახები გაფორმებულია მრავალფეროვანი თვალსაჩინოებებით, სასწავლო მასალებით, ხშირად გამოფენილია მოსწავლეთა ნაშრომებიც. სკოლა ახდენს მოსწავლეთა ჩართვას როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ აქტივობებში, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე.

2.2.3.4. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების კითხვარის ფორმა;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- შემუშავებული კურიკულუმები (X-XI).
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- სადამრიგებლო პროგრამა
- ანგარიშები
- სასკოლო და საკლასო პროექტები
- ვიზუალური დათვალიერება
- მასწავლებელთა ინტერვიუები
- პროექტები, პროზენტაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად:

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც ჩატარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:

1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტიკა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).

მეთოდოლოგიაში გაწერილი პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს მის განახლებას ყოველწლიურად სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ქსავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და აქტივობის განხორციელების ვადები სკოლას გაწერილი აქვს ერთწლიან სტრატეგიულ გეგმაშიც.

2.3.1.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.3.1.1. რჩევა; კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია არის ზოგადი და საჭიროებს ნაბიჯებისა და მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების დაზუსტებას. სკოლას ვურჩევდი, რომ განსაზღვროს შესაბამისი გზები/საშუალებები/ინსტრუმენტები, რომლითაც მოახდენს მონიტორინგსა და შეფასებას, იმის გაგებას მიმდინარეობს თუ არა პროცესები დაგეგმილის შესაბამისად და როგორი ეფექტით მიმდინარეობს, ასევე, განსაზღვროს შესაბამისი ვადები და პასუხისმგებელი პირები.

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას:



საშუალო საფეხურზე სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის ყველა პედაგოგს გააზრებული აქვს შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობა, რადგან იგი ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხელშეწყობას და მიმართულია სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეებისა და მასწავლებლების მხარდაჭერისაკენ. სკოლის დოკუმენტაციაში მასწავლებელთა მიერ განხორციელებულ სასწავლო აქტივობებში ჩანს, რომ ისინი მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. იკვეთება რომ კათედრები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ, დანერგილ გამოცდილებას. საფეხურებისა და კლასების მიხედვით. ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

სასურველია სკოლამ კურიკულუმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავების დროს გადადგას შემდეგი ნაბიჯები: გამოკვეთოს მიზნები და ამოცანები, კურიკულუმის განხორციელების პროცესში პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, რა ნაბიჯები გადაიდგმება, რა ინტერვენციები განხორციელდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად

2.3.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. კათედრების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩიძე

ნ. ჭიჭიძე დ. ყიფიძე

ქ. ჭიჭიძე დ. ჭიჭიძე



ასევე ინტერვიუების პროცესში მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით დგინდება, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არსებული მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა მიმართულია პრობლემების გადაჭრისაკენ, სკოლას აქვს ხედვა, თუ რა გზითა და საშუალებებით განახორციელებს აღნიშნულ პროცესს მომავალში მისი სისტემაში მოყვანისა და სასწავლო პროცესზე სასურველი შედეგების ასახვის მიზნით. თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ ვინაიდან სასწავლო პროცესი დინამიური ხასიათისაა, რა თქმა უნდა თავს იჩენს გარკვეული პრობლემები. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების გზა, პირველ რიგში ხდება გამოკვლევა ძლიერი და სუსტი მხარეების, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი ადმინისტრაცია კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად და შემდგომში კათედრებთან ერთად დაგეგმავენ პრობლემის მოგვარების აქტივობებს, გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდეს კათედრის ოქმებში.

2.3.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- მასწავლებელთა ინტერვიუ

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს:

სკოლა საშუალო საფეხურზე იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აფასებენ კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც. ამასთან ერთად, ცდილობენ, გამოიყენონ მრავალფეროვანი წყაროები. სკოლას შემუშავებული აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, რომლებიც უკავშირდება გაკვეთილზე ჩართულობას, პრეზენტაციას, დისკუსიას, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. ასევე, წარმოადგინეს ჯგუფური მუშაობის რუბრიკა, პრეზენტაციის თვითშეფასების ცხრილი. რაც შეეხება „მოსწავლეების საკლასო მუშაობის შეფასებისა“ და „ლაპარაკის თვითშეფასების კითხვარს“, ვფიქრობთ, დასახვეწია და გადახედვას საჭიროებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და საშუალო საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს.

2.3.2.1. ინდიკატორი შესაბამისობაშია

2.3.2.1 რჩევა; სასურველია, სკოლამ მეტად დახვეწოს შეფასების რუბრიკები და შეიმუშაოს ისინი კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაშიც.

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესში მასწავლებლები ახდენენ კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებლების ანალიზს, იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტს, რათა შემდგომი ინტერვენციების დროს გათვალისწინებული იყოს მათი უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესში სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებას და გასაუმჯობესებელი მხარეებზე ეფექტურ მუშაობას. სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, საგნის სტანდარტზე დაყრდნობით, რაც გვაძლევს იმის თმის საფუძველს, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს მათ სკოლაში დანერგილ პრაქტიკაზე და აღნიშნეს, რომ კათედრები ყოველი სემესტრის ბოლოს იკრიბებიან და ერთობლივად განიხილავენ მოსწავლეთა შედეგებს, შეფასების პროცესში გამოვლენილ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, შემდეგ კი კლასის დამრიგებლებთან და მოსწავლის მშობლებთან თანამშრომლობით ცდილობენ გამოვლენილი საჭიროებების გაუმჯობესებას, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყო მოსწავლეთა აკადემიური პროგრესი.

2.3.2.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია





3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები:

როგორც მასწავლებელთა ინტერვიუდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, მოსწავლეთა შეფასებისას სენაკის მე7 საჯარო სკოლაში საშუალო საფეხურზე გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი,


150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ბ. ჯიქიაშვილი
ბ. ჯიქიაშვილი





გასასვლელი ბარათი და ა.შ. შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები ადგენენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით, თემის შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით. აკვირდებიან მოსწავლეთა განვითარების დინამიკას. ყოველ შემთხვევაში დავალებებს ახლავს მოსწავლის შეფასების რუბრიკა, რომელიც წინასწარ ეცნობება მათ. კათედრის წევრებთან საუბრისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების შემდეგ მეთოდებს: , შეფასებების შედეგების ანალიზი, აღრიცხვის ფურცელი, შეკითხვების დასმა, ქვიზები, ინტერვიუ, გამოკითხვა, თვითშეფასება, ტესტები, მოსწავლის ნამუშევრების შეფასება. სკოლა მომავალი წლისთვის აპირებს მოსწავლეთა დიაგნოსტიკის განხორციელებას. კლასის საათის ფარგლებში გეგმავენ მაქსიმალურად ამომწურავი და სანდო ინფორმაციის მიღებას კითხვარების შევსების, საშუალებით მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობით. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს ,რომ ისინი იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს ინგლისურ და რუსული ენაში, მათ იციან როგორ შეიმუშაონ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებსა და სტანდარტით განსაზღვრულ შეფასების ინდიკატორებს ,

2.3.2.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას. შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ოჯახური მდგომარეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სოციალური, ეთნიკური წარმომადგენლობა, ღირებულებები, მოსწავლის პიროვნული უნარები და შესაძლებლობები. ამისათვის საგნის მასწავლებელი აქტიურ კომუნიკაციაშია მშობელთან, დამრიგებელთან და კლასში შემავალ სხვა მასწავლებლებთან.

2.3.2.4 ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი:

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლა ჩართულია ზოგადი განათლების რეფორმის პროცესში და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას მუდმივად ღებულობს საგნობრივი ექსპერტებისა და ავტორიზაციის პროცესებში მხარდამჭერი ჯგუფის რეკომენდაციებს. პედაგოგებთან გასაუბრებისას საშუალო საფეხურზე გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. საგნობრივი კათედრები კურიკულუმებზე მუშაობისას აანალიზებენ, როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, რა პროცესები უწყობდა ხელს მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, როგორი იყო მშობლებთან კომუნიკაცია. კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ და უკუკავშირის აძლევენ ერთმანეთს, იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. სკოლის დირექცია ახდენს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. სასკოლო საზოგადოების წევრები რეკომენდაციებს მიაწვდიან საგნობრივ კათედრებს, სადაც გაითვალისწინებენ გამოცდილებას, ცატარებული კომპლექსური დავალებების რეფლექსიებს ახალი კურიკულუმის შედგენისას.

2.4.1.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სსიპ ქალაქ სენაკის N7 საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრები გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგის შედეგებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად კურიკულუმები შექმნილია არსებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია ხარვეზები და წარმატებული პრაქტიკა. შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი უზრუნველყოფს მომდევნო წელს საგნობრივი კურიკულუმები იყოს უფრო დახვეწილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და მასში გათვალისწინებული მონიტორინგისა და შეფასების ანალიზის შედეგები და შესაბამისი ცვლილებები.

2.4.1.2 ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.
- X კლასების საგნობრივი კურიკულუმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ი. ჭავჭავაძე ი. ხორიძე ნ. სეჩიძე

ნ. ჭიჭიძე დ. ფიქი



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

.....

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: